გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 24
(11 481)

27 – 29 მარტი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო – რუმინეთი

ფეხბურთელთა ამ თაობის სჯერავს სრულიად საქართველოს, ჩვენ ხალხს!

ქართულ ფეხბურთს თავისი მდიდარი ისტორიის მანძილზე, არაერთხელ დადგომია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მომენტი. ცხადია, ყოფილა დიდი სიხარული და ყოფილა ტკივილიც, მეტწილად უსამართლობის გამო. ახლა კიდევ ერთი დიდი გამოცდის დღემ უწია ჩვენ ფეხბურთს. ეს ამ თაობის ფეხბურთელთა ყველაზე დიდი გამოცდაა, სწორედ მათ ეძლევათ საუკეთესო შანსი გააღწიონ ჯგუფური ტურნირიდან და აამაღლონ ქართული ფეხბურთის სტატუსი, საერთოდ, ქართული სპორტის ავტორიტეტი და ახალი, საამაყო მონაპოვრით გაამდიდრონ ტრადიციები.

ოპტიმიზმს ბევრი რამ განაპირობებს. მთავარი მაინც თვით ჩვენი საფეხბურთო ნაკრების, თითოეული ფეხბურთელის ამაღლებული განწყობა და წარმატების რწმენაა, ჯგუფურ ტურნირში შექმნილი ვითარებაც ხელსაყრელია ჩვენთვის, ნაკრებში არ არიან ტრავმირებული ფეხბურთელები, ჩინებულად ჩაიარა წინასამატჩო შეკრებამ გერმანიაში და, რაღა თქმა უნდა, დიდი ძალაა საკუთარი გულშემატკივრის მხარდაჭერა, დაგვეთანხმებით, ასეთი ა[illegible]ტაჟი, ასეთი რწმენა ჩვენი ნაკრებისადმი, დიდი ხანია არ ყოფილა და არ გვიგვრძნია.

სრულიად საქართველოს მზერა დღეს ჩვენი ეროვნული ნაკრებისადმია მიპყრობილი, ხალხს სჯერავს მათი წარმატების ხვალინდელ მატჩში, იმედის აღსრულებას მონატრებული გულჩათხრობილი დედასაქართველო მხოლოდ სიხარულს და აღტაცებას მოელის თქვენგან, ჩვენო საამაყო ფეხბურთელებო!

რუმინელთა მწვრთნელმა განაცხადა, რომ თუ თბილისში მატჩს ვერ მოიგებს, გადადგება

3

XIII ჯგუფი

იტალია	4	3	1	0	9-2	10
უნგრეთი	3	1	2	0	9-4	5
საქართველო	2	1	0	1	4-2	3
რუმინეთი	3	1	0	2	1-5	3
ლიტვა	4	0	1	3	2-2	1

რუმინელებს თბილისში პრობლემები ჩამოჰყვა

ჩვენმა ახლანდელმა მეტოქემ, რუმინეთის ნაკრებმა, გასულ შაბათს შინ შესარჩევი მატჩი ჩაატარა იტალიის ნაკრებთან. მკითხველს უთუოდ დააინტერესებს რუმინელთა შემადგენლობა ამ შეხვედრაში. ესენი არიან: სტელია, პროდანი, ფილიპესკუ, რადოი, კონტრა, გალკა (განეა, 79), დ. მუნტიანუ, კოდრა, ილიე, მოლდოვანი, ნიკულაე. მატჩი მოიგეს სტუმრებმა 2-0. ორივე გოლი ინძაგიმ გაიტანა (28, 32 წ).

ვნახოთ, რა ცვლილებას შეიტანს ამ შემადგენლობაში საქართველოს ნაკრებთან ხვალინდელ მატჩში რუმინელთა მწვრთნელი ლადისლაუ ბოლონი. შინ წაგების შემდეგ მას ხომ დიდი თავსატეხი გაუჩნდა, თანაც მწვრთნელს ამ მარცხისთანავე განეა აუმხედრდა და მეამბოხე ფეხბურთელი ბოლონიმ საერთოდ მოკვეთა ნაკრებიდან. ამ სკანდალმა კიდევ უფრო გააღრმავა გუნდის დეპრესია.

და აი, ეს დღეც დადგა. გუშინ, 26 მარტს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეჯამდა რეფერენდუმის შედეგები, საზოგადოებრიობამ კი ღირსეული პატივი მიაგო XX საუკუნის ლაურეატებს. აი, ისინიც:

საუკეთესო ფეხბურთელი — ბორის პაიჭაძე

საუკეთესო მეკარე — სერგო კოტრიკაძე

საუკეთესო მცველი — მურთაზ ხურცილავა

საუკეთესო ნახევარმცველი — დავით ყიფიანი

საუკეთესო თავდამსხმელი — მიხეილ მესხი

საუკეთესო მწვრთნელი — ნოდარ ახალკაცი

საუკეთესო მსაჯი — ანატოლი მილჩენკო

საუკეთესო გუნდი — „დინამო"-81

საუკეთესო გოლი — ვიტალი დარასელია (1981, დიუსელდორფი).

მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს

„ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

გენერალური სპონსორია მაგთი GSM

თქვენ გვერდით მუდამ ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

სარბიელი

ნომინაციაში „დიდი კაპიტანი" პრიზი გადაეცა ალექსანდრე ჩივაძეს, ***„ოლიმპიური მიღწევისთვის"*** — გელა კეტაშვილს.

საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოაცხადა. მანვე აღნიშნა, რომ ***ბორის პაიჭაძე დაჯილდოვდება „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით" (სიკვდილის შემდეგ).*** სამშობლოს ორდენებით დაჯილდოვდებიან ქართული ფეხბურთის სხვადასხვა თაობის თვალსაჩინო წარმომ[illegible]ენლები.

ს[illegible]ეკუნის საუკეთესო საფეხბურთო გუნდის დასახელების პატივი წილად ხვდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს.

საუკუნის ფეხბურთში მოღვაწე საუკეთესო ჟურნალისტად გამოცხადდა „ლელოს" ყოფილი თანამშრომელი, აწ გარდაცვლილი როდიონ (ბიჭიკო) ქორქია, ***საუკუნის სპორტულ ტელეჟურნალისტად*** — დავით ქლიბაძე; ***საუკუნის საუკეთესო სპორტულ გაზეთად*** — „ლელო", რომლის ამჟამინდელ რედაქტორს პრიზი გადასცა ამავე გაზეთის ყოფილმა რედაქტორმა, პარლამენტარმა არჩილ გოგელიამ; ***საუკეთესო კინორეჟისორად*** — მიხეილ ჭიაურელი; ***საუკეთესო ტელეკომენტატორად*** — კოტე მახარაძე.; ***ფეხბურთში მომუშავე საუკეთესო ექიმად*** — ზაქრო თელია.

გამოცხადდა, რომ ვანის საფეხბურთო სტადიონს მიენიჭა სლავა მეტრეველის სახელი.

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ შეკრებილთ უპატაკა რუმინელებთან მატჩისათვის ეროვნული სტადიონის სრული მზადყოფნის შესახებ. მანვე თქვა, რომ ამიერიდან, ეროვნული სტადიონის სრული მეპატრონე თბილისის მერია იქნება.

განცხადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ფეხბურთის გულშემატკივართა მოთხოვნა საქართველო — რუმინეთის ეროვნული ნაკრებების მატჩის ბილეთებზე და მოლაპარაკებები გამართა ფიფას გენერალურ მდივანთან მიშელ ცენ-რუფინენთან. მსოფლიო ფეხბურთის უმაღლესი ორგანო გაგებით მოეკიდა სფფ-ს თხოვნას, გაითვალისწინა რომ ეროვნულ სტადიონზე სავარძლების გარდა, დარჩენილი დასაჯდომი ადგილები დანომრილია და ყველა მათგანს აქვს საზურგე და, როგორც გამონაკლისი, დართო ნება სფფ-ს დამატებით სარეალიზაციოდ გამოუშვას ბილეთები ხის სკამებზე (25% იმ რაოდენობისა, რამდენი პერსონალური სავარძელიცაა დამონტაჟებული სტადიონზე).

ბილეთები გუშინ საღამოს დაიბეჭდა და დღეს, 27 მარტს, დილიდან გაიყიდება ეროვნულ სტადიონზე.

ფეხბურთის ფედერაცია კიდევ ერთხელ შეახსენებს გულშემატკივრებს, რომ თამაშის დღეს, 28 მარტს, სტადიონის სალაროებში ბილეთები არ გაიყიდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გათამაშების კალენდარი

3

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის, რონალდოს პრეს-მდივანმა როდრიგო პავიამ სენსაციური განცხადება გააკეთა — ჩემი კლიენტი კატალონიურ კლუბში ბრუნდებაო.

ამ ცნობამ „ინტერის" თაყვანისმცემლები შოკში ჩააგდო.

კანი – ბირჰოფის ნაცვლად

მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა მკვეთრად გააკრიტიკა გერმანიის ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი კაპიტანი ოლივერ ბირჰოფი — იგი არ არის გუნდში მაგალითის მიმცემიო. ეტყობა, ნაკრების მწვრთნელ რუდი ფიოლერს სჯერ[illegible] კაიზერ ფრანცის: მან ფეხბურთელების კრ[illegible]ა მოიწვია, სადაც კაპიტნად მეკარე ოლივერ კანი აირჩიეს.

რუმინელთა ზუსტი შემადგენლობა მატჩამდე ერთი საათით ადრე დაასახელდება!

გუშინ, რუმინელებმა ეროვნულ სტადიონზე ზუსტად საღამოს შვიდ საათზე დაიწყეს ვარჯიში. ახალი პროჟექტორებით განათებული მინდორი უცებ გაყვითლდა. ტრადიციული მსუბუქი მოთელვის შემდეგ სტუმრებმა სხვადასხვა ვარჯიშის შესრულება დაიწყეს, რასაც კარში დარტყმები მიაყოლეს. ფეხბურთელთა საერთო ჯგუფს თავიდანვე გამოეყო ადრიან ილიე და ექიმის მეთვალყურეობით განაგრძო ვარჯიში. რუმინელთა ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი მძიმედ გამოიყურებოდა, თუმცა, მონდომებით კი ვარჯიშობდა. სტუმრებმა წვრთნა ერთ საათში დაასრულეს და რამდენიმე წუთში სახელდახელო პრეს-კონფერენცია— დაიწყო. მასპინძელი და სტუმარი ჟურნალისტების წინაშე მთავარი მწვრთნელი ლადისლაუ ბოლონი და ფეხბურთელი ლივიო ჩებოტარიუ წარსდგნენ.

ბოლონი: ***„მატჩის მოგების იმედით ჩამოვედით, მაგრამ კარგად გვესმის, რომ ხვალინდელი შეხვედრა იოლი არ იქნება. რთული ამოცანაა, საქართველოს ნაკრები ძლიერი და ტექნიკური მეტოქეა. მსოფლიო დონის რამდენიმე ფეხბურთელი გყავთ, გამოვყოფ ქეცბაიას, არველაძეებს, კალაძეს, მეკარე გვარამაძე კვიპროსის ტურნირიდან მახსოვს."***

შეკითხვაზე ითამაშებს თუ არა ადრიან ილიე, მწვრთნელმა — არ ვიციო, თუმცა, დასძინა, რომ ეს ექიმების გადასაწყვეტია. „მხოლოდ მას შეუძლია მითხრას დავაყენო თუ არა ილიე შემადგენლობაში".

რუმინელებს არ ჩამოუყვანიათ განეა, მისი არყ[illegible]ნა მწვრთნელმა ფეხბურთელის უდისციპლინობით ახსნა, დასასრულს კი განაცხადა, რომ შემადგენლობას მატჩამდე ერთი საათი ადრე გამოვაცხადებო.

ლივიო ჩებოტარიუ: ***იტალიასთან წაგების მიუხედავად, გუნდი მხნედაა — ისე კი ძალიან ძნელი მატჩი გვქონდა, ბედიც არ გვწყალობდა. ვეცდებით აქ უკეთ, უფრო მეტი შემართებით ვითამაშოთ. რუმინელმა მწვრთნელმაც და ფეხბურთელმაც ჯგუფის ფავორიტად იტალია მიიჩნიეს. არც მასპინძლები დაივიწყეს და თქვეს, რომ იტალიელებს კონკურენციას საქართველოს ნაკრები გაუწევსო. სტუმრებს მინდვრის საფარიც მოეწონათ. მინდორი მართლაც კარგია, განათება კიდევ უკეთესი. ახლა ჯერი ფეხბურთელებზეა.***

რუმინელებმა ვარჯიშისას გამოცდილი, საქმის მცოდნე, ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა, გარკვეულ სიფრთხილეს მაინც იჩენენ, რაც მათი დღევანდელი ნაკრების შემხედვარე, გასაკვირი სულაც არ [illegible].

მიხეილ საბახტარიშვილი

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002

მოგავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 11 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

სამთომეთხილამურეობა | საქართველოს ჩემპიონატი

საერთო ძალისხმევა საქმეს წაადგა

უამინდობის გამო გუდაურში ეს ასპარეზობა მხოლოდ გიგანტ-სლალომში ჩატარდა — თითო დღეს თითო ცდა. მონაწილეობდა 15 გოგონა და 52 ვაჟი მესტიიდან, ბაკურიანიდან, გუდაურიდან, თბილისიდან. გოგონებში გამარჯვება გუდაურელმა თამარ გაგაძემ მოიპოვა, მეორე ადგილზე თბილისელი ირინა ჯაფარიძე გავიდა, ასევე თბილისელი მარიამ კოპაძე კი მესამე იყო. ვაჟები ორ ასაკად დაიყო — იუნიორები და უფროსი ასაკი. მათ მხოლოდ პირველი დღის შედეგი ჩაეთვალათ, რადგან მეორე დღეს ძლიერი ნისლის გამო მეორე ცდა ჩაიშალა. უმცროს ასაკში გამარჯვება ირაკლი ჟორჟოლიანმა (მესტია) მოიპოვა, მეორე ადგილი გიორგი თედიაშვილს (ბაკურიანი) ხვდა, მესამე — გუდაურელ გიგა ბურდულს.

უფროს ასაკში თბილისელმა ნიკა ჯალაღონიამ გაიმარჯვა, მეორე იყო გიორგი ებრალიძე (ბაკურიანი), მესამე — თბილისელი ნიკა ბახტაძე. სამწუხაროდ, ტრასა ვერ დაასრულეს საქართველოს ნაკრების წევრებმა — თბილისელმა თენგიზ ბაქრაძემ და ბაკურიანელმა გიგლა მახარაშვილმ.

უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ თამარ რობაქიძე, მარიამ კაიშაური და იასონ აბრამაშვილი, რომლებიც ამჟამად თურქეთში არიან შეჯიბრებაზე, ახლა მათ შეუერთდებიან საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებული სპორტსმენები.

ჩემპიონატი ჩატარდა საქართველოს სპორტის დუპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის, სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის გოგი თოფაძის, სასტუმრო „გუდაურის" გენერალური დირექტორის ვახტანგ მიქელაძის, მისი მოადგილის ნუკრი კოტრიკაძის, საქციო საზოგადოება „გერგეტის" ერთობლივი ძალისხმევით.

6-7 აპრილს კიდევ ერთი ასპარეზობა მოეწყობა გუდაურში — „სეზონის დახურვა" სლალომსა და გიგანტურ სლალომში.

სოფიკო ახმეტელი

ყველა დაჯილდოებული წიგნში შევა

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მომზადდა გამოსაცემად „წიგნი ღირსებისა", რომელიც ქვეყნის რჩეულ მამულიშვილთა წარმოჩენის პირველი ცდაა. წიგნი შთამომავლობას შეატყობინებს იმათ სახელებს, რომელთა თავგანწირვა

ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის, განსაკუთრებული წვლილი მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის, გამორჩეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

წიგნში შეტანილია დღეს არსებული სახელმწიფო ჯილდოების შექმნის ისტორია. ორდენებისა და მედლების ფერადი ფოტოსურათები და მათი აღწერილობა, რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა და უცნობია ფართო საზოგადოებისათვის.

წიგნში შეტანილია საქართველოს პრეზიდენტის ნაზრევი სახელმწიფო ჯილდოს მნიშვნელობის შესახებ, მოცემულია ბრძანებულებები დაჯილდოების შესახებ, ჯილდოების გადაცემის ცერემონიის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალა. წიგნს დაერთო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირთა საძიებელი გვარ-სახელების მიხედვით. წიგნი ხუთტომეულია. შემდგენლები არიან თამაზ ყიფიანი (რედაქტორი), თენგიზ გაჩეჩილაძე და გურამ სიმონიშვილი. გამოსცა საინფორმაციო სააგენტო „გუმათემ". დაიბეჭდა გამომცემლობა „დეკაში".

წიგნი მიეკუთვნება საცნობარო ლიტერატურას.

იუბილე ტურნირით აღინიშნა

ალბათ, ბევრად უფრო უპრიანი იქნება, ვეტერანი სპორტსმენის საიუბილეო თარიღს რომ ტურნირი დავამთხვიოთ. ეს, პირველ ყოვლისა, სპორტის იმ სახეობას გაუწევს პროპაგანდას, რომელშიც მას უმოღვაწია. მით უმეტეს, რომ ამის პრეცედენტი უკვე გვაქვს — გასულ შაბათ-კვირას დიღმის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა ცნობილი ფალავნის, საპატიო სპორტის ოსტატის ჯუმბერ დავლიანიძის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში კადეტთა (1986-88 წ.წ. დაბადებულნი) შორის.

მონაწილეთა სიჩაუქისა და მიზნისკენ სწრაფვის გარდა, ასპარეზობა მასობრიობითაც გამოირჩეოდა (200 ჭაბუკი იბრძოდა გამარჯვებისათვის), ესაა მთავარი. ესე იგი, ჭაბუკთა ეს მასა ზნეკეთილ ბილიკს ადგას და განერიდა ქუჩის იმ მავნე ზეგავლენას, რის გამო ხშირად მოზარდი გზას ასცდენია...

ტურნირს მეტი სერიოზულობა იმანაც შემატა, რომ ესწრებოდნენ ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეები, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძე და სხვები, რომელთა ხელიდან მიღებული პრიზები ბევრად უნდა ფასობდეს დამწყები მოჭიდავისათვის.

კვარცხლბეკი: ***26 კგ:*** 1. გიგა გრძელიშვილი (თბილისი), 2. ვასილ მამულაშვილი, 3. შალვა ქარსაულიძე (ორივე — საგარეჯო); ***29 კგ:*** 1. გოგი გელაძე (ყაზბეგი), 2. ნიკო გრძელიშვილი (თბილისი), 3. ამირან კიკაჩეიშვილი (ონი); ***32 კგ:*** 1. შოთა ფაჩუაშვილი (ხონი), 2. თორნიკე როსტიაშვილი, 3. ივანე ჩერქეზიშვილი (ორივე — საგარეჯო); ***35 კგ:*** 1. გიგა მწითური (თბ.), 2. დავით ბიჩინაშვილი (რუსთავი), 3. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი); ***38 კგ:*** 1. გიგა კოტორაშვილი, 2. ავთო მეტრეველი, 3. გიგა ვარდიაშვილი (სამივე — თბ.); ***42 კგ:*** 1. გიორგი მარსაგიშვილი, 2. ამირან მარსაგიშვილი (ორივე — ყაზბეგი), 3. ირაკლი დეკანოსიძე (თბ.); ***47 კგ:*** 1. ლევან ტეტუნაშვილი (გორი), 2. გიორგი თამაზაშვილი (თბ), 3. რომან ბოლქვაძე (ბთ); ***53 კგ:*** 1. ლევან ასანიძე (რუსთ.), 2. რუსლან ჩიჯავაძე, 3. ანზორ არველაძე (ორივე — თბ.), ***59 კგ:*** 1. გიორგი კუპატაძე (თბ), 2. მამია ბერიძე (ბთ.), 3. აკაკი სონღულაშვილი (თბ.), ***66 კგ:*** 1. ლაზარე მარსაგიშვილი (თბ), 2. შალვა გოგრიჭიანი (რუსთ.), 3. ირაკლი მარსაგიშვილი (ყაზბეგი), ***73 კგ:*** 1. მიხეილ კამლაძე, 2. სულიკო ცაბაძე, 3. ალექსანდრე მაზმანაშვილი (სამივე — თბ.), ***85 კგ:*** 1. გიორგი ჯიმშელეიშვილი, 2. გიორგი ბერიაშვილი, 3. გიორგი ხუტაშვილი (სამივე — თბ.); + ***85 კგ:*** 1. გიორგი ნიკურაძე, 2. ლადო ხოხაშვილი (ორივე — თბ.), 3. გივი ტატანაშვილი (კაპსი).

„ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის" პრიზი ერგო მიხეილ კამლაძეს. 85 კგ წონაში გამარჯვებულს (იუბილარი ამ წონაში გამოდიოდა) გიორგი ჯიმშელეიშვილს პრიზი გადასცა იუბილარმა ჯუმბერ დავლიანიძემ, „პერსპექტიული მოჭიდავის" პრიზი დაიმსახურა გიორგი ნიკურაძემ.

იუბილარი შეჯიბრებაში გამარჯვებულებთან, ორგანიზატორებთან, მსაჯებთან და ქართველ ფალავნებთან ერთად

თავისუფალი ჭიდაობა | ხსოვნის ტურნირი

38 რჩეული 106-დან

„სინათლის" სპორტდარბაზმა ყოფილი მოჭიდავის, საქართველოს ნაკრების წევრის ჯანგირ თედეევის ხსოვნის ტურნირს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ 1985-87 წლებში დაბადებული ჭაბუკები — „დინამოდან", „მართვედან", „ლოკომოტივიდან", „შევარდენიდან", ლ. თედიაშვილის სახელობის კლუბიდან, აგრეთვე ბოლნისიდან და რუსთავიდან. სულ თავი მოიყარა 106-მა მოჭიდავემ.

კვარცხლბეკი: ***32 კგ:*** 1. ბ. ბიჩინაშვილი (რუსთ.), 2. გ. ედიშერაშვილი, 3. მ. გოგელია, (ორივე — „ლოკომოტივი"); ***35 კგ:*** 1. დ. ბიჩინაშვილი (რუსთ), 2. ი. გიგილაშვილი („მართვე"), 3. დ. მჭედლიძე (რუსთ.). ***38 კგ:*** 1. ა. მეტრეველი (ორს), 2. შ. კაპანაძე (ბოლნ.), 3. პ. ცინაძე (რუსთ); ***42 კგ:*** 1. დ. ბუქური (ორს), 2. გ. ფიცხელაური, 3. გ. მუჩაიძე (ორივე — „შევარდენი"); ***46 კგ:*** 1. მ. მწითური („მართვე"), 2. გ. ლომთათიძე (ორს), 3. ო. დადუნაშვილი („მართვე"); ***50 კგ:*** 1. მ. ლონდრიშვილი (ბოლნ), 2. გ. ფირცხალავა („მართვე"), 3. ბ. ჭელიძე (ორს); ***54 კგ:*** 1. კ. მაჭარაშვილი (ორს), 2. ო. დადუნაშვილი, 3. გ. ჩიქოვანი (ორივე — „მართვე"); ***58 კგ:*** 1. გ. არევაძე (ორს), 2. ი. კამლაძე, ვ. ლ. ლომიძე (ორივე — „შევარდენი"); ***63 კგ:*** 1. კ. კალაძე, 2. თ. სვანიძე (ორივე — ორს), 3. ვ. ავსაჯანიშვილი („მართვე"); ***69 კგ:*** 1. ნ. გაგნიძე (თედიაშვილის კლუბი), 2. ზ. გურგენიძე („მართვე"), 3. შ. გოგრიჭიანი (რუსთ); ***76 კგ:*** 1. ლ. ნაცარაშვილი („შევარდენი"), 2. ლ. ბუჩუკური („ლოკომოტივი"), 3. ს. ხუხუნეიშვილი („მართვე"); ***85 კგ:*** 1. ა. ხუციშვილი („შევარდენი"), 2. გ. ლოლაძე („მართვე"); +***85 კგ:*** 1. ა. ქსოვრელი („შევარდენი"), 2. კ. დარჯანია („მართვე"), 3. ლ. ქუთათელაძე (თედიაშვილის კლუბი).

ლადო ჭინჭარაული,
მამუკა ლიქოკელი
ფა და სპორტის აკადემიის ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები

სამგო | საქართველოს პირველობა

ორიენტირი ევროპაა!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №21,23

დიდები. 52 კგ: 1. დ. მუნჯიშვილი (თბ), 2. გიორგი ბახტურიძე (ყვარ), 3. მ. კიკვაძე (ქუთ), გ. სახვაძე (გორი); ***57 კგ:*** 1. ა. ხანიშვილი (გორი), 2. ა. ქებაძე (კასპი), 3. ა. ცინცაძე (თბ), დ. ბარათაშვილი (ხაშური); ***62 კგ:*** 1. ი. მიშელაშვილი (დუშ), 2. ბ. კოლინი (ზესტ), 3. ა. ჩიმჩიური (თბ), მ. მაზიაშვილი (ქარელი); ***68 კგ:*** 1. დ. ღუღუნიშვილი (რუსთ), 2. მ. ფალიაშვილი (კასპი), 3. ზ. დოღონაძე (გორი), კ. ხუბაშვილი (კასპი); ***74 კგ:*** 1. ზ. გულიაშვილი (ქარელი), 2. ა. ჩოხელი (მცხ), 3. ბ. თადუმაძე (გორი), ი. ათაბეგაშვილი (საგარ); ***82 კგ:*** 1. ბ. ფავილაშვილი (რუსთ), 2. ი. ჯავახიშვილი (მარტყ), 3. გ. დარძული (რუსთ), კ. მურაჩაშვილი (გორი); ***90 კგ:*** 1. გ. შუბითიძე (რუსთ), 2. დ. ტყეშელაშვილი (ქუთ), 3. მ. ბოდაველი (თბ), ზ. მუზაშვილი (კასპი); +***90 კგ:*** 1. ლ. ფეიქრიშვილი (თბ), 2. ვ. ტურაშვილი (კასპი), 3. ე. კობახიძე (თბ), დ. დარძული (რუსთ); +***100 კგ:*** 1. ზ. ჩინჩალაძე (რუსთ), 2. ზ. წიკლაური, 3. პ. ლიპარტაშვილი (ორივე — თბ), თ. ჯალაბაძე (გორი).

სურათზე: საქართველოს სამგოს ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ეკუთიმიშვილი აჯილდოებს 74 კგ წონაში გამარჯვებულს და პრიზიორებს.

მსროლელი ასეთი უნდა

ვინ არის ქრისტინა ესებუა?

„ლელოს" ამასწინანდელ ერთ-ერთ ნომერში გაუწყეთ უკრაინის კადეტთა (15 წლამდე) ნაკრების შემადგენლობაში ქართველი მშვილდოსნის ქრისტინა ესებუას მიერ ორ თანატოლთან ერთად ჩეხეთის ქ. ნიმბურკში მსოფლიო რეკორდის დამყარების შესახებ. მონაცემები ქ. ესებუას მიღწევაზე შეტანილია ევროპის რეკორდების ცხრილში. შარშანდელი 13 რეკორდიდან ქართველ გოგონას ეკუთვნის 6, მათ შორის 2 გუნდურში.

საქართველოს ფედერაციამ აფხაზეთის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ჰკითხა, იციან თუ არა რაიმე ქრისტინას შესახებ. სამწუხაროდ, არავითარი ინფორმაცია მის შესახებ აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტს არ გააჩნია.

რუბენ კაცობაშვილი

განცხადება

კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, გაზეთ „ლელოს" დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, 2001 წლის იანვრიდან, პიროვნებებისა და ორგანიზაციების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წერილები გამოქვეყნდება მხოლოდ ორგანიზაციების დაკვეთით, გაზეთში გამოყოფილი ფართისათვის შესაბამისი ანაზღაურებით (შეღავათით). ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდება მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი

II ეტაპი

I-VI ადგილებისთვის

I წრე

I ტური
4. აპრილი, ოთხშაბათი
კოლხეთი-1913 ფოთი — ვიტ ჯორჯია თბილისი
ლოკომოტივი თბილისი — მერანი-91 თბილისი
დინამო თბილისი — ტორპედო ქუთაისი

II ტური
8 აპრილი, კვირა
ვიტ-ჯორჯია — ტორპედო
მერანი-91 — დინამო თბ.
კოლხეთი-1913 — ლოკომოტივი

III ტური
12 აპრილი, ხუთშაბათი
ლოკომოტივი — ვიტ-ჯორჯია
დინამო თბ. — კოლხეთი-1913
ტორპედო — მერანი-91

IV ტური
17 აპრილი, სამშაბათი
ვიტ-ჯორჯია — მერანი-91
კოლხეთი-1913 — ტორპედო
ლოკომოტივი — დინამო თბ.

V ტური
21 აპრილი, შაბათი
დინამო თბ. — ვიტ-ჯორჯია
ტორპედო — ლოკომოტივი
მერანი-91 — კოლხეთი-1913

II წრე

VI ტური
28 აპრილი, შაბათი
ვიტ-ჯორჯია — კოლხეთი-1913
მერანი-91 — ლოკომოტივი
ტორპედო — დინამო თბ.

1 მაისი, სამშაბათი
თასის 1/2 ფინალი

VII ტური
5 მაისი, შაბათი
ტორპედო — ვიტ-ჯორჯია
დინამო თბ — მერანი-91
ლოკომოტივი — კოლხეთი-1913

VIII ტური
12 მაისი, შაბათი
ვიტ-ჯორჯია — ლოკომოტივი
კოლხეთი-1913 — დინამო თბ.
მერანი-91 — ტორპედო

15 მაისი, სამშაბათი
თასის 1/2 ფინალი
მერანი-91 — ლოკომოტივი
ტორპედო — ვიტ-ჯორჯია

IX ტური
19 მაისი, შაბათი
მერანი-91 — ვიტ-ჯორჯია
ტორპედო — კოლხეთი-1913
დინამო თბ. — ლოკომოტივი

X ტური
23 მაისი, ოთხშაბათი
ვიტ-ჯორჯია — დინამო თბ.
ლოკომოტივი — ტორპედო
კოლხეთი-1913 — მერანი-91

26 მაისი, შაბათი
თასის ფინალი

VII-XII ადგილებისთვის

I წრე

I ტური
3 აპრილი, სამშაბათი
თსუ თბილისი — იბერია სამტრედია
დილა გორი — დინამო ბათუმი
გორდა რუსთავი — სიონი ბოლნისი

II ტური
7 აპრილი, შაბათი
იბერია — სიონი
დინამო ბთ. — გორდა
თსუ — დილა

III ტური
11 აპრილი, ოთხშაბათი
დილა — იბერია
გორდა — თსუ
სიონი — დინამო ბთ.

IV ტური
17 აპრილი, სამშაბათი
იბერია — დინამო ბთ.
დილა — გორდა
18 აპრილი, ოთხშაბათი
თსუ — სიონი

V ტური
22 აპრილი, კვირა
გორდა — იბერია
სიონი — დილა
დინამო ბთ. — თსუ

II წრე

VI ტური
27 აპრილი, პარასკევი
იბერია — თსუ
დინამო ბთ. — დილა
სიონი — გორდა

VII ტური
5 მაისი, შაბათი
სიონი — იბერია
გორდა — დინამო ბთ.
დილა — თსუ

VIII ტური
11 მაისი, პარასკევი
იბერია — დილა
თსუ — გორდა
დინამო ბთ. — სიონი

IX ტური
18 მაისი, პარასკევი
გორდა — დილა
დინამო ბთ. — იბერია
სიონი — თსუ

X ტური
22 მაისი, სამშაბათი
იბერია — გორდა
დილა — სიონი
თსუ — დინამო ბთ.

I ლიგა

II ეტაპი

I-VI ადგილებისთვის

I წრე

I ტური
3 აპრილი, სამშაბათი
შუქურა ქობულეთი — სამგურალი წყალტუბო
გურია — ლოკომოტივი-2 ლანჩხუთი — მეტალურგი ზესტაფონი

4 აპრილი, ოთხშაბათი
მილან. წნორი — ცხინვალი ცხინვალი

II ტური
11 აპრილი, ოთხშაბათი
სამგურალი — ცხინვალი
მეტალურგი — მილანი
შუქურა — გურია-ლოკ2

III ტური
18 აპრილი, ოთხშაბათი
გურია-ლოკ2 — სამგურალი
მილანი — შუქურა
ცხინვალი — მეტალურგი

IV ტური
22 აპრილი, კვირა
სამგურალი — მეტალურგი
შუქურა — ცხინვალი
გურია-ლოკ2 — მილანი

V ტური
27 აპრილი, პარასკევი
მილანი — სამგურალი
ცხინვალი — გურია-ლოკ2
მეტალურგი — შუქურა

II წრე

VI ტური
1 მაისი, სამშაბათი
სამგურალი — შუქურა
მეტალურგი — გურია-ლოკ2
ცხინვალი — მილანი

VII ტური
5 მაისი, შაბათი
მილანი — მეტალურგი
გურია-ლოკ2 — შუქურა

6 მაისი, კვირა
ცხინვალი — სამგურალი

VIII ტური
11 მაისი, პარასკევი
სამგურალი — გურია-ლოკ2
შუქურა — მილანი
მეტალურგი — ცხინვალი

IX ტური
18 მაისი, პარასკევი
მეტალურგი — სამგურალი
ცხინვალი — შუქურა
მილანი — გურია-ლოკ2

X ტური
22 მაისი, სამშაბათი
სამგურალი — მილანი
გურია-ლოკ2 — ცხინვალი
შუქურა — მეტალურგი

VII-XII ადგილებისთვის

I წრე

I ტური
4 აპრილი, ოთხშაბათი
თორი ბორჯომი — კოლხეთი ხობი
ოკეანე სამტრედია — ივერია ხაშური
დინამო ზუგდიდი — თბილისი თბილისი

II ტური
12 აპრილი, ხუთშაბათი
კოლხეთი — თბილისი
ივერია — დინამო თორი — ოკეანე

III ტური
17 აპრილი, სამშაბათი
ოკეანე — კოლხეთი
დინამო — თორი
თბილისი — ივერია

IV ტური
21 აპრილი, შაბათი
კოლხეთი — ივერია
თორი — თბილისი
ოკეანე — დინამო

V ტური
28 აპრილი, შაბათი
დინამო — კოლხეთი
თბილისი — ოკეანე
ივერია — თორი

II წრე

VI ტური
2 მაისი, ოთხშაბათი
კოლხეთი — თორი
ივერია — ოკეანე
თბილისი — დინამო

VII ტური
6 მაისი, კვირა
თბილისი — კოლხეთი
დინამო — ივერია
ოკეანე — თორი

VIII ტური
12 მაისი, შაბათი
კოლხეთი — ოკეანე
თორი — დინამო
ივერია — თბილისი

IX ტური
19 მაისი, შაბათი
ივერია — კოლხეთი
თბილისი — თორი
დინამო — ოკეანე

X ტური
23 მაისი, ოთხშაბათი
კოლხეთი — დინამო
ოკეანე — თბილისი
თორი — ივერია

I ლიგა. XXII ტური

თორი — კოლხეთი (ხ) 1-1
ოკეანე — ცხინვალი 1-0
დინამო (ზ) — მილანი (გადაიდო)
შუქურა — ივერია 7-0
სამგურალი — გურია-ლოკ2 3-0
თბილისი — მეტალურგი 2-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მეტალურგი	**22**	**12**	**6**	**4**	**36-19**	**42**
გურია-ლოკ2	**22**	**12**	**5**	**5**	**30-25**	**41**
შუქურა	**22**	**12**	**4**	**6**	**34-18**	**40**
მილანი	**21**	**12**	**3**	**6**	**32-18**	**39**
სამგურალი	**22**	**12**	**3**	**7**	**40-21**	**39**
ცხინვალი	**21**	**11**	**3**	**7**	**44-24**	**36**
თორი	22	8	5	9	22-19	29
კოლხეთი (ხ)	22	6	7	9	18-24	25
დინამო (ზ)	20	7	3	10	19-43	24
ოკეანე	22	5	4	13	22-40	19
თბილისი	22	5	2	15	11-34	17
ივერია	22	4	3	15	12-45	15

ლადისლაუ ბოლონი: „თუ თბილისში ვერ მოვიგეთ, გადავდგები!"

დიახ, — ასე თქვა რუმინეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ ბუქარესტის აეროპორტში თბილისში გამომგზავრების წინ — იტყობინება რუმინული გაზეთი „მონიტორული".

საქართველოს დედაქალაქიდან გამოგზავნილი წერილით „მონიტორულის" სპორტული რეპორტიორი მირჩა როდოვანი ამცნობს თავის თანამემამულეს იმ პირველი შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც გაუჩნდა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ.

„თვითმფრინავში მსხდომი „ტრიკოლორეს" ფეხბურთელები და მათი თანმხლები პირები უხასიათოდ ირჯებოდნენ. ამაზე იტყვიან, დენთის სუნი ტრიალებსო. ასეთი განწყობა კარგა ხანია არ ჰქონია რუმინეთის ფეხბურთს. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ „სკუადრა აძურასთან" დამარცხების შემდეგ ჩვენი ნაკრების პოზიციები შესარჩევ ჯგუფში ძალიან შეირყა. მთავარია ის, რომ გუნდი, როგორც ასეთი, დღეს არ არსებობს. არიან მხოლოდ სახელოვანი ფეხბურთელები, რომლებმაც დაივიწყეს კოლექტივიზმის სულისკვეთება. იქნებ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ბოლონიმ სამაგალითოდ დაესაჯა ერთერთი მათგანი — შტუტგარტელი ნახევარმცველი იონელ განეა, რომელმაც საჯაროდ გააკრიტიკა მწვრთნელი იმ უსუსური სათამაშო ტაქტიკის გამო, იტალიასთან ასე უსახელოდ რომ წაგვაგებინა. ამბოხებული ფეხბურთელი თვითმფრინავის ტრაპიდან დაბრუნეს შინ.

თბილისი მშვენიერი თბილი ამინდით შეგვეგება. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ნაკრების ფეხბურთელებმა იმავე საღამოს ივარჯიშეს. მერე კი რუმინელ ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ გაესაუბრებოდნენ ბოლონის. მისი თქმით, იტალიის წინააღმდეგ ფეხბურთელებმა ვერ გამოავლინეს ის მორალურ-ნებელობითი თვისებები, რომელსაც მათგან ელოდა. აი, სახელდობრ როგორ შეაფასა მწვრთნელმა მოთამაშეების გარჯა „სტიუაზე": სტელია — 6, რადოი — 5, ფილიპესკუ — 4,5, პროდანი — 4, კონტრა — 6, გალკა-5, კოდრა — 5,5, დ. მუნტეანუ — 5,5, ილიე — 5, ნიკულაე — 5, მოლდოვანი — 6,5, კ. მუნტეანუ — 5, სერბანი — 5, განეა — 4.

შეკითხვაზე, რა შემადგენლობითა და სათამაშო ტაქტიკით წარსდგება რუმინეთი საქართველოს წინააღმდეგ, ბოლონიმ არაფერი გვიპასუხა — ამას მხოლოდ მატჩის წინ გადავწყვეტო.

„როგორც თბილისში ჩამოსვლისას შევიტყვეთ, საქართველოს ნაკრები მატჩისათვის გერმანიაში ემზადება და გუნდი სამშაბათს დილით ჩამოვა. ინტერესი მატჩისადმი დიდია — ეროვნულ სტადიონზე 20 ათასი ინდივიდუალური სავარძელი ყოფილა დამონტაჟებული და ბილეთები ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ გაყიდულა"...

„მონიტორულის" ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ რუმინეთის პრეზიდენტ იონ ილიესკუსთან სათაურით: „Lectia de contraatac", სადაც ქვეყნის პირველი პირი აკრიტიკებს ნაკრების თავკაცს: „ტრაპატონიმ ბოლონის სამაგალითო საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა — „სკუადრა აძურას" ყველა ფეხბურთელმა იცოდა, რას თხოულობდა მისგან მწვრთნელი. ეტყობა, ბოლონის ასეთ დონეზე მუშაობის გამოცდილება არ ჰყოფნის და ამის შესახებ სერიოზულად უნდა დაფიქრდეს რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მირჩა სანდუ".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა

ძვირფასო მეგობრებო!
ფეხბურთის გულშემატკივრებო!

28 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს რუმინეთის ნაკრებთან.

თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას, რომლის წარმატებით ჩატარება საქართველოს ეროვნული ნაკრების წინსვლის საწინდარი გახდება შესარჩევ ციკლში. ამისთვის კი საჭიროა გუნდის სიძლიერესთან და ორგანიზაციასთან ერთად სტადიონზეც სრული წესრიგი სუფევდეს, რაშიც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს...

მოგეხსენებათ, რუმინელებთან მატჩისთვის ფიფასა და უეფას კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, სფფ-ს უფლება აქვს სარეალიზაციოდ გასცეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური სკამებისთვის განკუთვნილი ოცი ათასი ბილეთი და აბონემენტი. ჩვენ გვესმის, რომ სტადიონზე მისვლის მსურველი გაცილებით მეტია, ამიტომაც გავიღეთ დამატებითი ხარჯები და საქართველოს ტელევიზიასთან ერთად, პირველ არხზე მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლირების უფლება გამოვისყიდეთ. გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ სტადიონზე მხოლოდ და მხოლოდ ოცი ათასი ადგილია და თამაშზე უნდა მოვიდეს ის გულშემატკივარი, რომელსაც ბილეთი ან აბონემენტი ექნება.

წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება უკრაინის ნაკრებთან მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი, როდესაც მხოლოდ ექვსი ათასი ბილეთი გაიყიდა და ტრიბუნაზე ხუთჯერ მეტი გულშემატკივარი მოთავსდა. ამის გამეორება დაუშვებელია, რადგან თუკი რუმინეთთან გაყიდული ბილეთების რაოდენობა არ დაემთხვა სტადიონზე მოსულ გულშემატკივართა რიცხვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მკაცრი საჯარიმო და ფულადი სანქციები არ ასცდება. სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. საქართველო კი კარგა ხნით დაემშვიდობება დიდ ფეხბურთს...

სფფ-მ გადაწყვიტა ბილეთები და აბონემენტები გასაყიდად 10 მარტიდან გამოუშვას. თამაშის დღეს კი სტადიონზე ბილეთები არ გაიყიდება.

ძვირფასო გულშემატკივრებო! კიდევ ერთხელ გთხოვთ, მხარში ამოუდგეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უბილეთოდ ნუ მოხვალთ სტადიონზე. ნუ შეგქმნით ზედმეტ პრობლემებს და ნუ დავუკარგავთ საქართველოს ნაკრებს შესაძლებლობას შინ ჩაატაროს არანაკლებ მნიშვნელოვანი დარჩენილი სამასპინძლო მატჩები იტალიასთან, ლიტვასთან და უნგრეთთან...

თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს!..

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

2001 წლის 28 მარტს, ოთხშაბათს, საქართველოს და რუმინეთის ეროვნული ნაკრებების შესარჩევი მატჩის დაწყებამდე, თბილისის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება გინესის მსოფლიო რეკორდსმენის გოდერძი მახარაძის მეშვიდე სარეკორდო ასპარეზობა. დასაწყისი 18 საათზე.

ასპარეზობის მიზანი: მინდორზე მჯდომარე მდგომარეობაში თავით ფეხბურთის ბურთის კენწლის მსოფლიო რეკორდის (30.00 წუთი) გაუმჯობესების მცდელობა.

ასპარეზობის ორგანიზატორები: საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ფეხბურთის ფედერაცია, ეროვნული სტადიონის დირექცია, საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა კლუბი „გიორგი".

სპონსორი: სს „ყაზბეგი".

ასპარეზობას უძღვება ორგანიზატორთა ნებით არჩეული მთავარი კომისია, სამედიცინო კომისია და ალტერნატიული კომისია.

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — რეგიონალური ლიგა XII ტური

დასავლეთის ზონა

მზიური (გალი) — ლაზიკა (ზუგდიდი) 2-3

მზიური: შონია, ჭაჭუა, ჩიქობავა, ლევან ყოლბაია, კანკავა, ღურწკაია, ცაცუა, ლაშა ყოლბაია, ქორთუა, გუგუჩია, კუტალია.
ლაზიკა: ნაყოფია, ჭეჟია, ფიფია, გვაზავა, თ. თოდუა, ჯოჯუა, მებონია, ქარჩავა, ჯაბუა, ბაკარანძე, თოდუა.
მსაჯი: კიკაჩეიშვილი (ქუთაისი).

ლიდერთა ჯგუფის მატჩმა, რომელიც ზუგდიდში გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაში დაიწყო სწრაფ ტემპში, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე. უპირატესობას უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ლაზიკა“ დაეუფლა, რომლის ფორვარდებმაც რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. გია თოდუას გრძელი პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა ბაკარანძე, რომელმაც შეძლო მეკარის მოტყუება, მაგრამ კარში მიმავალ ბურთს ხაზთან ჩიქობავა გადაეღობა და გალელები იხსნა აშკარა გოლისაგან, ორიოდე წუთში, გუგუჩია გავიდა მეკარესთან პირისპირ და 5-6 მეტრის მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

ანგარიში მე-18 წუთზე ზუგდიდელებმა გახსნეს 11-მეტრიანით, რომელიც დაინიშნა ჩიქობავას ხელით თამაშისათვის. პენალტი კი გოლად გვაზავამ აქცია. ტაიმის მიწურულს გუგუჩიამ თავური დარტყმით აღადგინა წონასწორობა.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა. 56-ე წუთზე ბაკარანძის გადაცემით გია თოდუამ ახლო მანძილიდან დაიწინაურა „ლაზიკა“. 5 წუთი დასჭირდათ გამოცდილ ფეხბურთელებს წონასწორობის უკვე მეორედ აღსადგენად: შორეული დარტყმით კვლავ გუგუჩიამ იმარჯვა, მას მოჰყვა გვაზავას მიერ 20-25 მეტრიდან ულამაზესი საჯარიმო, რომელიც აკრობატულ ნახტომში შონიამ კუთხურზე მოიგერია.

თამაშის მიწურულს კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია, რაზედაც მეტყველებს მსაჯის მიერ 5-ჯერ „აფრიალებული“ ყვითელი ბარათი. კულმინაციას კი თამაშმა დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მიაღწია, როდესაც შონიამ მასთან პირისპირ დარჩენილი ბაკარანძე მოცელა — მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, უკვე 'მეორედ „მზიურის“ კარში, რამაც „მზიურის“ ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების აღშფოთება გამოიწვია. შემდეგ კი თამაში შეწყდა, რაც იმავე ფეხბურთელებისა და მატჩის კომისიის რ. ვაწაძის ჩარევით განიმუხტა. გვაზავამ ამჯერადაც უნაკლოდ შეასრულა პენალტი. დარჩენილ დროში გალელებმა სცადეს მატჩის გადარჩენა, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვერ შეძლეს.

მატჩზე მოსული ათასამდე გულშემატკივრის მოწონება დაიმსახურა „ლაზიკას“ დებიუტანტის ბაკარანძის კარგმა თამაშმა.

გელა ნაჯყებია,
„ლელოს“ კორ. სამეგრელოს რეგიონში

ბავშვთა ფეხბურთი

„ავაზა-87“ - მომავლის გუნდი

ვინც ბავშვთა ფეხბურთს თვალს ადევნებს, დაგვეთანხმება, რომ ყველგან, ყველა შეჯიბრებაში, ნებისმიერ ასაკში, ავაზელები დომინირებენ. ამ საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებს შარშან არც ერთი შეჯიბრება არ გამოუტოვებიათ და არაერთი წარმატებით გაამდიდრეს სკოლის მონაპოვარი. შეგახსენებთ, რომ 1986 წ. დაბადებულნი თბილისის ჩემპიონები გახდნენ (მწვრთნელი გ. ანდღულაძე). ამასთან, ეს გუნდი ს. მეტრეველის თასის გათამაშების ფინალში გავიდა. დედაქალაქის ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი ხვდათ 1988 წლიანებს (მწვრთნელი ნ. ჩიტაური), 1987 წლიანებმა კი ქულათა დიდი სხვაობით მოიპოვეს თბილისის ჩემპიონობა თავიანთ ასაკში (მწვრთნელი ა. ზუკაკიშვილი), ს. მეტრეველის თასზე ერთი წლით უფროსებთან პაექრობაში III ადგილი ხვდა. საგულისხმოა, რომ ამ გუნდმა ს. მეტრეველის თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირში ორივეჯერ დაამარცხა მომავალი თასის მფლობელი. და აი, „ავაზა-87“ საოცარი სიბეჯითით მიიწევს წინ ს. მეტრეველის თასზე, ამჯერად უკვე თანატოლთა შორის, წლეულს მათ 22 მატჩი ჩაატარეს და ყველა მოიგეს, მეტწილად დიდი ანგარიშით.

დავძენთ, რომ გუნდში უაღრესად ნიჭიერი ჭაბუკები თამაშობენ და სათაურში გამოტანილი ოპტიმისტური სიტყვები უსაფუძვლო სულაც არ არის, ოღონდ... ბავშვებს ელემენტარული პირობების შექმნა ესაჭიროებათ. „ავაზას“ სკოლის დირექტორი მ. მესხი და სასწავლო ნაწილის გამგე მერაბ გოგორიშვილი, ცხადია, ჯადოქრები არ არიან, ენთუზიაზმი კი, მოგეხსენებათ, უსასრულო არ არის, სამწუხაროდ, ის იქ თავდება, სადაც თბეს ზევით ძალა აღარ არის...

მიხეილ მოდებაძე,
ფ/ა და სპორტის აკადემიის ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

სურათზე: სხედან მარცხნიდან — გიორგი ბიბილაშვილი, სანდრო კობახიძე, ბაჩო გულაშვილი, ნიკა კერესელიძე, მალხაზ ალიბეგაშვილი, სანდრო ბიბილაშვილი, დიმიტრი გერგიშვილი, ნოდარ გოგენია.
დგანან მარცხნიდან — ნოდარ მაჭავარიანი, ირაკლი გაგუა, ირაკლი ხარაძე, ირაკლი ჩირიკაშვილი, პაკო ხორგუაშვილი, მწვრთნელი ანზორ ზუკაკიშვილი, ლევა ალექსანიანი, გიორგი თავბერიძე, ვატო ხორგუაშვილი, ნიკა ქავთარაძე; გუნდთან ერთად ფოტოზე არ არიან გურამ ოდიშვილი და გიორგი ამირხანაშვილი.

რობერტ ბაგოიანის ფოტო

SOS! როგორც იმერეთის ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, ამ ტურში ორი მატჩი ჩაიშალა. მარტვილის „სალხინო“ საკუთარ მოედანზე არ გამოცხადდა ბათუმის „დინამო-2-თან სათამაშოდ. სოხუმის „დინამოს“ ხელვაჩაურში უნდა მიეღო ჩხოროწყუს „სამეგრელო“ — ამჯერად სტუმრები არ ჩავიდნენ საასპარეზოდ. ამ და სხვა დარღვევების გამო სათანადო სამსახურები მიიღებენ უმკაცრეს ზომებს.

აღმოსავლეთის ზონა

ცხუმი — სამგორი 3-0
ალაზანი — ჭაბუკიანი 0-1
კავკასიონი — ლოკომოტივი3 0-3
ხალიბი — ასკ 4-0
თბილისი2 — შსს აკადემია 1-3

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
აკადემია	11	8	2	1	25-8	26
ლოკომოტ.3	11	8	2	1	26-9	26
ჭაბუკიანი	11	8	1	2	30-9	25
ხალიბი	11	6	3	2	19-13	21
ცხუმი	11	5	3	3	10-5	18
ალაზანი	11	5	2	4	22-15	17
თბილისი2	11	3	2	6	11-22	11
ზოოვეგი	10	2	2	6	10-15	8
სამგორი	11	2	2	7	10-24	8
ასკ	11	2	0	9	13-31	6
კავკასიონი	11	1	1	9	11-36	4

ცენტრალური ზონა

ვიტ ჯორჯია2 — ს.ა. იბერია 1-1
ოლიმპიკი — დინამო2 1-4
საბურთალო — მესხეთი 0-3
ამირანი — დილა 1-2
მრეტები — ვარძია 1-1

დინამო2	11	8	1	2	33-10	25
ამირანი	11	8	1	2	22-11	25
ვიტ ჯორჯია2	11	6	3	2	31-10	21
ს.ა. იბერია	11	5	5	1	24-10	20
მესხეთი	11	5	1	5	10-17	16
ვალენსია 83	10	4	3	3	16-15	15
მრეგები	11	4	3	4	11-12	15
ოლიმპიკი	11	4	0	7	14-13	12
ვარძია	11	2	3	6	7-15	9
დილა2	11	1	4	6	8-25	7
საბურთალო	11	0	2	9	4-42	2

დასავლეთის ზონა

მერცხალი — სქური 1-4
დინამო (სოხ.) — სამეგრელო 3-0
მზიური — ლაზიკა 2-3
ინტერი — გურია2 4-0
სულორი — კოლხეთი2 0-1
სალხინო — დინამო2 (ბთ) 0-3

სქური	12	9	2	1	29-9	29
მზიური	12	9	1	2	34-17	28
ლაზიკა	12	9	1	2	43-20	28
კოლხეთი2	12	7	1	4	20-11	22
ინგური	12	6	2	4	28-12	20
დინამო (ბთ)	12	5	2	5	19-18	17
დინამო2 (სოხ)	12	4	3	5	19-18	15
გურია2	12	3	3	6	19-35	12
მერცხალი	12	2	3	7	12-20	9
სამეგრელო	12	2	3	7	10-24	9
სალხინო	12	1	4	7	14-28	7
სულორი	12	2	1	9	10-45	7

ჭაბუკთა ფეხბურთის ზეიმი ნაძალადევში

ნამდვილი საზეიმო განწყობილება სუფევდა ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის კლუბში. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთის განვითარების და საკლუბო შეჯიბრების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლევან ყიფიანმა და ინსტრუქტორმა ჯუმბერ თანანაშვილმა ქართული ფეხბურთის მომავალს, 14-19 წლის ყმაწვილებს და ჭაბუკებს. პრიზიორ კლუბებს, თასები, დიპლომები და ფულადი პრემიები გადასცა. გავეცნოთ 1999-2000 წლებში გ. ჩოხელის (1982-1983 წ. დაბ.), მ. მესხის (1984 წ. დაბ.), ს. მეტრეველის (1986 წ. დაბ.) და ბავშვთა ლიგის (1985 წ. დაბ.) პირველობების გამარჯვებულებს, პრიზიორებს და საუკეთესო ფეხბურთელებს. სფფ-ს ეგიდით გამართული ოთხი ტურნირიდან სამი „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის გუნდებმა მოიგეს, ერთი თასი „მერანი-91“-ის საკუთრება გახდა.

გ. ჩოხელის თასის გათამაშება მოიგო „ნორჩი დინამოს“ გუნდმა (მწვრთნელი გოჩა ხიტირი). ს. მეტრეველისა — ვახტანგ კოპალეიშვილის და მამუკა სვანაძის შეგირდებმა, მ. მესხის თასი — „მერანმა“ (მწვრთნელი ბონდო კაკუბავა). გამარჯვებულ გუნდებს 5-5 ბურთი, ფულადი პრემია 300 ლარი, ფეხბურთელებს კი დიპლომები გადაეცათ.

დაჯილდოების ცერემონიის ყველაზე მეტი დრო ჭაბუკთა ლიგის პრიზიორებს დაეთმო. ჯილდო სამივე კლუბმა მიიღო. მესამე ადგილისთვის შესაბამისი დიპლომი, პრემია 300 ლარი და თასი საფეხბურთო კლუბ „თბილისს“ გადაეცა (მწვრთნელი ვალერი კობახიძე), მეორე ადგილი დაიკავა „ირაოს“ საფეხბურთო სკოლის გუნდმა (მწვრთნელი გურამ ჩომახიძე), მათაც ბურთები, მეორე ხარისხის დიპლომები, თასი და 500 ლარი მიიღეს. ჭაბუკთა ლიგის პირველი გათამაშების ჩემპიონი რევაზ გაგუას ნორჩი „დინამოელი“ გახდა. გუნდს პირველი ხარისხის დიპლომი, ბურთები და 1000 ლარის პრემია გადასცეს. კაპიტანმა ვახო კაციტაძემ დამსწრეთა თვალწინ ჩემპიონის თასი აღმართა. პრიზები გადაეცათ ჭაბუკთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელებს. მეკარისა — დათო ჯვარშეიშვილს („დინამო“), მცველისა — ლევან ობგაიძემ („თბილისი“). ნახევარმცველისა — გოჩა ხოჯავას („ირაო“), ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირი გახდა დინამოელი ვასილ ღუჭაშვილი, მან მეტოქეთა კარი 28-ჯერ დალაშქრა. ლევან ყიფიანის განმარტებით, დაჯილდოების ცერემონია შემდგომში უფრო დაიხვეწება, გამარჯვებულები შესაბამისად ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ. საერთოდ, პირველი შემთხვევაა, როცა პრიზიორ კლუბებს პრემიები გადაეცათ. ასეთი ცერემონიის აუცილებლობა სადავო არ არის. ეს ღონისძიება დაარწმუნებს ახალგაზრდობას, რომ მათი გარჯა უყურადღებოდ არ რჩება, მიეცემათ დაოსტატების სტიმული.

საბა ლომინაძე

ზოგი მალავს, ზოგი არა

ამას წინათ, რუსეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბების პრეზიდენტებსა და გენერალურ დირექტორებს ჰკითხეს, როგორია მათი გუნდების ფინანსური შესაძლებლობები. ზოგმა ამ კითხვაზე უპასუხა კიდეც, ზოგმა თავი შეიკავა.

იური ზავარზინი (მოსკოვის „სპარტაკის“ გენერალური დირექტორი): ჩვენი ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მტკიცეა. წლიური ბიუჯეტი 10-12 მილიონი დოლარია. თუმცა ფული მაინც არა გვყოფნის.

ვალერი ფილატოვი (მოსკოვის „ლოკომოტივი“). შარშანდელთან შედარებით ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა და ახლა 11 მილიონი დოლარია. ისე რომ, ჩვენი ფინანსური მდგომარეობა მტკიცეა.

იური მიშინი (მოსკოვის „ტორპედო“) პირდაპირ პასუხს მოერიდა, ისე კი თქვა, რომ კლუბის ფინანსური მდგომარეობა კარგია. იგივე გააკეთეს „ა' ის“ გენერალურმა დირექტორმა ომარ მაჰომედოვმა და მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტმა ნიკოლაი ტოლსტიხმა. ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ პრეზიდენტმა ***ვალერი პროხორენკომ*** თქვა, რომ მისი კლუბის ბიუჯეტი 4 მილიონი დოლარია, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ პრეზიდენტმა ***ვიტალი მუტკომ*** 127,5 მილიონი რუბლი დაასახელა. რამენსკოეს „სატურნის“ სამეთვალყურეო — საბჭოს თავმჯდომარის ***ვალერი აქსაკოვის*** ცნობით, მისი კლუბის ბიუჯეტი 5 მილიონი დოლარია, სამარის „კრილია სოვეტოვის“ პრეზიდენტ ***გერმან ტკაჩენკოს*** განცხადებით, ეს თანხა 5,2 მილიონ დოლარს შეადგენს. მოსკოვის „ტორპედო-ზილის“ დირექტორმა ***ვლადიმირ სახაროვმა*** კი მოკლედ მოჭრა: ჩვენთან ნორმალური მდგომარეობაა.

შესარჩევი ტურნირი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

ევროპა

I ჯგუფი

რუსეთი	3	2	1	0	5-1	7
სლოვენია	4	1	3	0	7-6	6
შვეიცარია	4	1	2	1	8-5	5
იუგოსლავია	2	1	1	0	3-1	4
ფარერები	3	1	1	1	5-7	4
ლუქსემბურგი	4	0	0	4	1-9	0

II ჯგუფი

პორტუგალია	4	3	1	0	9-2	10
ირლანდია	4	2	2	0	9-3	8
ჰოლანდია	4	2	1	1	11-4	7
კვიპროსი	4	2	0	2	8-10	6
ესტონეთი	4	2	0	2	4-6	6
ანდორა	6	0	0	6	3-19	0

III ჯგუფი

ჩეხეთი	4	3	1	0	6-0	10
დანია	4	2	2	0	9-3	8
ბულგარეთი	4	2	1	1	6-3	7
ჩრ. ირლანდია	4	1	1	2	2-3	4
ისლანდია	4	1	0	3	3-8	3
მალტა	4	0	1	3	0-9	1

IV ჯგუფი

თურქეთი	4	2	2	0	5-2	8
სლოვაკეთი	4	2	2	0	4-1	8
შვედეთი	4	2	2	0	3-1	8
მაკედონია	4	1	1	2	3-3	4
მოლდოვა	4	0	2	2	0-3	2
აზერბაიჯანი	4	0	1	3	0-5	1

V ჯგუფი

პოლონეთი	4	3	1	0	9-4	10
უკრაინა	4	2	1	1	5-5	7
ბელარუსი	4	2	1	1	5-5	7
უელსი	4	0	3	1	4-5	3
სომხეთი	4	0	2	2	5-7	2
ნორვეგია	4	0	2	2	3-5	2

VI ჯგუფი

ბელგია	4	2	2	0	16-3	8
შოტლანდია	4	2	2	0	6-3	8
ხორვატია	3	1	2	0	5-2	5
ლატვია	4	1	0	3	2-9	3
სან-მარინო	3	0	0	3	1-13	0

უელსი – გერმანია 2-2

VII ჯგუფი

ესპანეთი	4	3	1	0	10-2	10
ისრაელი	3	2	0	1	5-3	6
ავსტრია	3	1	2	0	3-2	5
ბოსნია	3	0	1	2	3-6	1
ლიხტენშტეინი	3	0	0	3	0-5	0

IX ჯგუფი

გერმანია	3	3	0	0	5-1	9
ინგლისი	3	1	1	1	2-2	4
ფინეთი	4	1	1	2	3-4	4
ალბანეთი	3	1	0	2	4-4	3
საბერძნეთი	3	1	0	2	1-4	3

ესპანეთი – ლიხტენშტეინი 5-0

VIII ჯგუფი

უნგრეთი – ლიტვა 1-1

ბუდაპეშტი. ეროვნული სტადიონი. 28 ათასი მაყურებელი.

უნგრეთი (3-5-2): კირალი; კორსოში, სებოკი, უხარი; ფეხერი, მირიუტა, დარდაი, ილუში, ჰამარი; ჰორვატი, ფიერი.

ლიტვა (4-5-1): სტაუჩე, სკარბალიუსი, დედურა, გლევესკასი, ზვირგზდაუსკასი, რაჟანაუსკასი, ეუტაუტასი, პოშკუსი, მორინასი, სემბერასი, მიკალიუნასი.

გოლები: 1-0 სებოკი, რაჟანაუსკასი (74)

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

UEFA UNDER-21 Championship

შესარჩევი ტურნირი

I ჯგუფი

შვეიცარია	3	1	2	0	6-4	5
სლოვენია	3	1	2	0	5-1	5
იუგოსლავია	2	1	1	0	6-3	4
რუსეთი	3	1	1	1	3-3	4
ლუქსემბურგი	3	0	0	3	1-10	0

II ჯგუფი

პორტუგალია	3	2	1	0	7-3	7
ჰოლანდია	3	2	1	0	4-1	7
ირლანდია	4	2	0	2	3-5	6
კვიპროსი	2	0	0	2	0-2	0
ესტონეთი	2	0	0	2	1-4	0

III ჯგუფი

ბულგარეთი	4	3	1	0	6-2	10
ჩრ. ირლანდია	3	2	0	1	8-5	6
დანია	4	1	3	0	5-2	6
ჩეხეთი	3	2	0	1	3-2	6
ისლანდია	4	0	1	3	3-8	1
მალტა	4	0	1	3	0-6	1

IV ჯგუფი

სლოვაკეთი	4	3	1	0	7-1	10
შვედეთი	4	2	2	0	8-1	8
თურქეთი	4	2	1	1	3-2	7
მოლდოვა	4	1	1	2	3-4	4
აზერბაიჯანი	4	1	1	2	3-8	4
მაკედონია	4	0	0	4	1-9	0

V ჯგუფი

ბელარუსი	4	3	0	1	13-2	9
ნორვეგია	4	3	0	1	11-4	9
უკრაინა	4	2	1	1	6-6	7
პოლონეთი	4	2	1	1	6-8	7
სომხეთი	4	1	0	3	3-12	3
უელსი	4	0	0	4	2-9	0

VI ჯგუფი

ბელგია	3	3	0	0	5-1	9
ხორვატია	3	2	0	1	6-4	6
შოტლანდია	3	1	0	2	4-5	3
ლატვია	3	0	0	3	2-7	0

VII ჯგუფი

საფრანგეთი	5	4	1	0	11-5	13
ესპანეთი	4	2	1	1	5-3	7
ავსტრია	3	1	1	1	3-3	4
ისრაელი	4	1	0	3	5-9	3
ბოსნია	4	0	1	3	1-5	1

VIII ჯგუფი

იტალია	4	3	1	0	8-3	10
უნგრეთი	3	2	0	1	5-4	6
რუმინეთი	3	1	1	1	4-2	4
ლიტვა	4	1	0	3	3-9	3
საქართველო	2	0	0	2	3-5	0

IX ჯგუფი

გერმანია	3	2	1	0	11-2	7
საბერძნეთი	3	2	0	1	5-3	6
ინგლისი	3	1	2	0	7-3	5
ფინეთი	4	1	1	2	6-9	4
ალბანეთი	3	0	0	3	0-12	0

სამხრეთ ამერიკა

არგენტინა	10	8	1	1	22-8	25
ბრაზილია	10	6	2	2	21-9	20
პარაგვაი	10	6	2	2	18-9	20
ეკვადორი	10	5	1	4	12-14	16
ურუგვაი	10	4	3	3	12-7	15
კოლუმბია	10	4	3	3	8-7	15
ჩილე	10	3	1	6	11-13	10
ბოლივია	10	1	2	5	5-14	9
პერუ	10	2	2	6	7-13	8
ვენესუელა	10	1	0	9	6-28	3

27.03.2001 კოლუმბია – ბოლივია
27.03.2001 პერუ – ჩილე
28.03.2001 ეკვადორი – ბრაზილია
28.03.2001 ურუგვაი – პარაგვაი
28.03.2001 არგენტინა – ვენესუელა

„ინტერის“ სტადიონის დისკვალიფიკაცია

უეფას სადისციპლინო კომისიამ მილანის „ინტერის“ სტადიონს ორი მატჩით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ამასთან, ეს მხოლოდ ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებს ეხება.

უეფას გადაწყვეტილება იტალიელი ფანატების უმსგავს საქციელს მოჰყვა უეფას მერვედფინალურ მატჩში „ალავესის“ წინააღმდეგ, რომელიც სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 2-0. მას შემდეგ, რაც „ალავესმა“ მეორე გოლი გაიტანა, თამაში შეწყდა, რახან „ინტერის“ ფანატებმა პეტარდების, ბოთლებისა და სკამების ნამტვრევების სროლა დაიწყეს. ახლა „ინტერს“ მოუხდება იმ სტადიონზე ითამაშოს, რომელიც მილანიდან სულ მცირე, 300 კილომეტრით არის დაშორებული. ამასთან, კლუბმა 75 ათასი შვეიცარიული ფრანკი (45 ათასი დოლარი) ჯარიმა უნდა გადაიხადოს.

ნესტა არ იყიდება

ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა „ლაციოსა“ და „სკუადრა აძურას“ მცველი ალესანდრო ნესტა სხვა კლუბში გადადის, არ შეეფერება სინამდვილეს, „მე „ლაციოში“ ვრჩები“ – კატეგორიულად განაცხადა ფეხბურთელმა.



ალესანდრო ნესტა

XXI საუკუნის ფეხბურთი?

მართლაც, როგორი იქნება XXI საუკუნის ფეხბურთი? მოვუსმინოთ რამდენიმე ექსპერტს.

ვლადიმირ მასლაჩენკო: დღეს ნამდვილი საფეხბურთო თეატრების შექმნის პროცესის მოწმენი ვართ. ზოგ ქვეყანაში ეს თეატრები უკვე შეიქმნა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, კომფორტის ახალი მოთხოვნები საჭიროდ ხდის უფრო სრულყოფილი სპორტული ნაგებობების შექმნის აუცილებლობას. გულშემატკივრები, ვფიქრობ, ნახავენ ფეხბურთს ხელოვნურ მინდვრებზე, რომლებიც თავიანთი ღირსებებით ბუნებრივებს გადააჭარბებს. იგი ბილიარდის მაგიდებს დაემსგავსება და, ბუნებრივია, თამაშის დონეც მრავალგზის გაიზრდება.

თამაშში ძირითადი როლი მწვრთნელთა სტრატეგიასა და ტაქტიკას კი არ განეკუთვნება, არამედ თვით ფეხბურთელებს — მსახიობებს, რომლებიც მინდორზე წარმოქმნილ დაელვისებურად ცვალებად სიტუაციას, როგორც ეპიზოდებში, ისე, მთლიანადაც, თვითონვე მოუძებნიან გამოსავალს. მწვრთნელი რაღა როლს შეასრულებს? მას მოთამაშეები საჭირო მომენტისათვის მაქსიმალურ მზადყოფნაში უნდა ჰყავდეს. გაჩნდება ფეხბურთელის ტიპი, შესაძლოა იდეალურიც, როგორც ჩვენ დღეს ვერცკი წარმოგვიდგენია, ისეთი უნივერსალი კი არა, რომელიც ამა თუ იმ ამპლუასკენ მიდრეკილებას იჩენს, არამედ იმნაირი, რომელსაც თანაბრად ემარჯვება ყველაფერი მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთზე. ჩვენ ისეთ თამაშს ვნახავთ, სადაც ბრწყინვალე ფიზიკური მომზადება მეტისმეტად სწრაფ აზროვნებასა და სწრაფ ტექნიკას შეერწყმება.

ანატოლი ბიშოვეცი: ჯერჯერობით არა ჩანს, რომ სპორტის რომელიმე სხვა სახეობამ XXI საუკუნეში ფეხბურთს კონკურენცია გაუწიოს, მაყურებელთა ასეთ აუდიტორიას მოუყაროს თავი.

ფეხბურთის კომერციალიზაციის პროცესი, ეჭვგარეშეა, შემდეგშიც გაგრძელდება, რადგან იგი ხელსაყრელი ბიზნესია. ამავე დროს მისმა ხელმძღვანელებმა უკვე უახლოეს ხანებში მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა გადაწყვიტონ: მოაგვარონ და ერთმანეთს შეუთანხმონ საშინაო შეჯიბრებისა და საერთაშორისო ტურნირების კალენდარი. მოთამაშეების ფიზიკური შესაძლებლობები ხომ ამოუწურავი არ არის. მათ შორის საუკეთესოებს, კლუბშიც რომ თამაშობენ და ნაკრებშიც, მატჩების გადატვირთულობის გამო ზოგჯერ, უბრალოდ რომ ვთქვათ, რიგიანი არაფერი გამოუდით მინდორზე. ნაკრებებს მსოფლიო და კონტინენტის პირველობებისათვის მოსამზადებლად სულ ცოტა დრო რჩებათ. ესეც, ცხადია, მოქმედებს მათი გამოსვლების ხარისხზე.

ჩემი აზრი: XXI საუკუნეში ევროპის ჩემპიონატი ლიგაში სამხრეთამერიკული კლუბებიც ჩაერთვებიან. გაიზრდება განსხვავება ჩვეულებრივსა და სუპერკლუბებს შორის. სუპერკლუბები კიდევ უფრო მეტ უძლიერეს მოთამაშეებს იყიდიან, რათა ნამდვილად ორი თანაბარი ძალის შემადგენლობა ჰყავდეთ. გაიზრდება ფეხბურთელების მიგრაცია, რომელიც სასტიკ ლახვარს ჩასცემს იმ ქვეყნებს, სადაც რეზერვების მომზადების მოწესრიგებული სისტემა არ არსებობს. საფრანგეთში, მაგალითად, საუკეთესო მოთამაშეების უმეტესობა საზღვარგარეთ გამოდის, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატი მაინც საინტერესოა, რადგან ყოველწლიურად წინაურდებიან ახალი ნიჭიერი ფეხბურთელები. ამას „ჭის ეფექტს“ ვუწოდებ. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ღრმაა ეს ჭა.

უკვე მრავალი წელია მსოფლიო ფეხბურთში ტაქტიკური თუ ტექნიკური თვალსაზრისით რაიმე გლობალური სიახლე არა ხდება. ამას წინათ დაასახელეს XX საუკუნის საუკეთესო მოთამაშეები: პელე და მარადონა. ისინი მართლაც რომ უდიდესი ფეხბურთელები იყვნენ. მათ გავუთანაბრებდი კრუიფს, რომელმაც შეიძლება ითქვას, ფეხბურთში რევოლუცია მოახდინა: მინდვრის ყველა მონაკვეთზე დაიწყო თამაში და დაარღვია ადრინდელი წარმოდგენა ტაქტიკის შესახებ. მის ასეთნაირ თამაშს „აიაქსის“ მწვრთნელებმაც მიბაძეს. ამის შემდეგ კი „ტოტალური ფეხბურთი“ შეიქმნა. კრუიფის მსგავსი ფეხბურთელი 100 წელიწადში ერთხელ იბადება. XXI საუკუნეში, იმედი გვაქვს, გამოჩნდება ფეხბურთელი, რომელიც ახალ ტაქტიკურ რევოლუციას მოახდენს.

ნიკიტა სიმონიანი: რევოლუციურ ტაქტიკურ სიახლეებს, ეტყობა, უკვე ველარ ვნახავთ. ისევ XX საუკუნის იდეებს დაამუშავებენ. ფეხბურთი უფრო ინტელექტუალური გახდება. წარმატებას ის ფეხბურთელები და გუნდები მოიპოვებენ, რომლებსაც შეეძლებათ სასწრაფო (მატჩის მსვლელობასთან დაკავშირებით) ტაქტიკური გარდაქმნა. ბევრს გადაწყვეტს მოთამაშეების ინდივიდუალური ოსტატობა, სისწრაფე და აზროვნება მეტოქის მიერ განხორციელებული მკაცრი პრესინგის პირობებში. ვფიქრობ, სწორედ ასეთ ფეხბურთს ექნება მომავალი.

დარწმუნებული ვარ, სტადიონებზე კვლავ ანშლაგი იქნება, ფეხბურთი კვლავინდებურად აფავდება. ამასთან დაკავშირებით, ერთი საყურადღებო ეპიზოდი მახსენდება. 25 წლის წინათ ერთი იმპრესარიო ჩვენს საზღვარგარეთულ მატჩებს აწყობდა. არაოფიციალურ საუბარში მითხრა, რომ, მისი აზრით, ფეხბურთი უმომავლო თამაშია და ბოლოს და ბოლოს, შეწყვეტს არსებობას. მისი მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: რახან ფეხბურთს ძირითადად პროლეტარები თამაშობენ (ცხოვრების პირობები კი საერთო პროგრესის დროს უნდა გაიზარდოს), დადგება დრო, როცა მას აღარავინ ითამაშებს. საბედნიეროდ, როგორც ვხედავთ, ამ პროგნოზს არავითარი საერთო არა აქვს რეალობასთან.

ვინ დაეწევა ჰოსამ ჰასანს?

როგორც გახსოვთ, შარშან განთქმულმა გერმანელმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა ნაკრებში 150-ე მატჩი ითამაშა და ამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ვინ იფიქრებდა, რომ გავიდოდა სულ ცოტა ხანი და ამ საუკეთესო მიღწევას, ასე ვთქვათ, გააფერმკრთალებდა ფეხბურთის სამყაროში არც ისე ცნობილი ფეხბურთელია, 34 წლის ჰოსამ ჰასანი, რომელსაც დღეისათვის ეგვიპტის ნაკრებში ჩატარებული აქვს 155 მატჩი! იმის გამო, რომ ჰასანის საბრძოლო მზადყოფნა ამჟამად ძალზე მაღალია და მას მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში (ამას ამხანაგური მატჩებიც დავუმატოთ) არავრთი შეხვედრა მოელის, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

მაშ ასე, რეკორდსმენი ამჯერად ეგვიპტელი ჰოსამ ჰასანია, რომელიც ნაკრებში 1985 წლიდან გამოდის და 155 მატჩი ითამაშა. 151 მატჩით მეორე ადგილზე გადაინაცვლა მ : ჯიკის ნაკრების კაპიტანმა კლაუდიო სუარესმა (ნაკრებშია 1992 წლიდან) და მხოლოდ მესამე – ლოთარ მათეუსი (ნაკრებში მთელი 20 წელი გაატარა და 2000 წლამდე თამაშობდა) – 150. ცხადია, ლოთარ მათეუსი დიდხანს ვეღარ შეინარჩუნებს ამ მესამე პოზიციას.

გავიხსენოთ მომდევნო ადგილებზე მყოფი ოსტატებიც. განთქმული შვედი მეკარე თომას რაველი ქვეყნის ნაკრებში 1981-97 წლებში გამოდიოდა. 143 მატჩით იგი მეოთხე ადგილს ინარჩუნებს. ერთ დროს მსოფლიო რეკორდსმენად ითვლებოდა „უდაბნოს პელედ“ წოდებული მაჯიდ აბდულა (საუდის არაბეთი). შემდეგ გაირკვა, რომ საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ფიფასათვის მიწოდებული ცნობები, რბილად რომ ვთქვათ, არაზუსტი იყო – აქ ზოგიერთი ისეთი მტჩიც იყო აღნიშნული, რომელსაც ფიფა არ ითვალისწინებს (ვთქვათ, ნაკრების შეხვედრა რომელიმე საკლუბო გუნდთან). ამიტომ ცნობები „დააზუსტეს“ და მაჯიდ აბდულას 140 მატჩი ჩაუთვალეს. იგი ნაკრებში 1978-94 წლებში გამოდიოდა. ახლა მეხუთე ადგილზეა. საინტერესოა, რომ ამდენივე მატჩი ჩაატარა საუდის არაბეთის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა მუჰამედ ალ-დეიამ, რომელიც ნაკრებში 1990 წლიდან გამოდის და ახლაც მოქმედი ფეხბურთელია. იგი მეექვსე ადგილზეა, მაგრამ, ცხადია, შეუძლია თავისი მონაცემების გაუმჯობესება.

აი ზოგიერთი სხვაც: 7. კობი ჯონსი (აშშ) – 135, ნაკრებში თამაშობს 1992 წლიდან. 8. მარსელო ბალბოა (აშშ) – 128, ნაკრებშია 1988 წლიდან. 9. მუჰამედ ალ-ჰილაივი (საუდის არაბეთი) – 127, ნაკრებში გამოდის 1992 წლიდან და 10. პეტერ შმაიხელი (დანია) – 127. არც ისე დიდი ხნის წინათ შმაიხელმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს ნაკრებში თამაშს, რომლის შემადგენლობაში 1987 წლიდან იყო, თუმცა, ვინ იცის...

ბიში თორელი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ძაკერონი უმუშევარი არ დარჩენილა

სულ ცოტა ხანს იყო უმუშევარი „მილანიდან“ განთავისუფლებული ალბერტო ძაკერონი. მას დაუყოვნებლივ მიმართა საფრანგეთის ჩემპიონ („შეიძლება უკვე ექს-ჩემპიონიც ვუწოდოთ) „მონაკოს“ დირექტორატმა და მიიწვია სამუშაოდ. „მონაკო“ ახლა სუსტად თამაშობს და მისი ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ძაკერონი წელს თუ არა, მომავალ სეზონში მაინც გამოასწორებს მდგომარეობას.

კუპერი აუცილებლად დაბოვებს „ვალენსიას“

როგორც ესპანური პრესა იუწყება, ექტორ რაულ კუპერი, რომელიც დიდი წარმატებით მუშაობს „ვალენსიაში“, მომავალი სეზონიდან აუცილებლად დატოვებს ამ კლუბს. თუ სად იმუშავებს არგენტინელი, ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, ის კი, ცნობილია, რომ „ვალენსიას“ ცნობილი სპეციალისტი „მალიორკას“ მთავარი მწვრთნელი ლუის არაგონესი ჩაუდგება სათავეში.

სანდრო მაცოლა: ლეგიონერების სისტემა უნდა მოწესრიგდეს

როგორც ახლო წარსულში ფართოდ ცნობილი ფეხბურთელი, ახლა კი მილანის „ინტერის“ დირექტორატის წევრი სანდრო მაცოლა თვლის, იტალიურ კლუბებში ლეგიონერების ასეთი მასობრივი მიღება ძალიან აფერხებს ეროვნული ფეხბურთის განვითარებას. ეს ლეგიონერები შეადგენენ ახლა „სერია A“-ს გუნდების უმრავლესობას, გზას უხშობენ ახალგაზრდა იტალიელებს, რომლებსაც თავის გამოჩენის საშუალება არა აქვთ და ასე თანდათან იკარგებიან. მაცოლას აზრით, ლეგიონერების რაოდენობა მკვეთრად უნდა შეიზღუდოს.

21 სეზონის შემდეგ

დიახ, სწორედ 21 სეზონის განმავლობაში თამაშობდა ცნობილი ზამბიელი ფეხბურთელი კალუშა ბვალია. მას შემდეგ, რაც 1994 წელს „ახვ ეინტ ხოვენში“ დასასრულა თამაში, იგი მექსიკაში გაემგზავრა. იქ იგი კლუბ „ამერიკაში“ გამოდიოდა. ახლა ბვალია 37 წლისაა, მექსიკაში რჩება და მეორე დივიზიონის კლუბ „პოტრის მარტეში“ მუშაობს მეორე მწვრთნელად.

რას წარმოადგენს იაპონური ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების იდეა იაპონელებს ჯერ კიდევ 15 წლის წინათ დაებადათ. იმ მომენტისათვის იაპონიის ეროვნული ნაკრები მეტისმეტად სუსტი იყო, სად შეეძლო მაშინ მეტოქეობა გაეწია კორეელთათვის ან არაბული ქვეყნების ნაკრებებისათვის. იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ტადაო მურატამ აღნიშნა: „ჩვენ მაშინ მხოლოდ ერთი მიზნით გვინდოდა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება: ფინალში გარანტირებული ადგილი გვქონოდა. აბა იქ სხვანაირად როგორ მოვხვდებოდით.“

იაპონიაში უამრავი საფეხბურთო სკოლაა, რომლის დამთავრების შემდეგ საუკეთესონი პირდაპირ პროფესიულ კლუბებში ხვდებიან.

პირველი სერიოზული წარმატებები იაპონელებმა სწორედ ახალგაზრდულ ფეხბურთში მოიპოვეს. 1993 წელს მათი ჭაბუკთა ნაკრები (17 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა. შარშან, ნიგერიაში, მსოფლიო ჩემპიონატში (20 წლამდე) ფინალამდე მიაღწიეს, სიდნეიში ოლიმპიადაზე მხოლოდ პენალტების სერიის შემდეგ წააგეს მეოთხედფინალური მატჩი აშშ-ს გუნდთან.

რას წარმოადგენს იაპონური ფეხბურთი

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მას მსოფლიო ფორუმებში რაიმე დიდი წარმატება დღემდე არა ჰქონია. იგი მონაწილეობდა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში საფრანგეთში, სადაც სამივე მატჩი წააგო. სამაგიეროდ, უკვე ორჯერ მოიპოვა აზიის თასი. პირველად ეს მოხდა 1992 წელს, როცა იაპონელებს წვრთნიდა ჰოლანდიელი ჰანს ოოფტი, მეორედ — შარშან, იაპონელებმა გაიმარჯვეს ლიბანში ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი სპეციალისტის, ფრანგ ფილიპ ტრუსიეს ხელმძღვანელობით. ტრუსიეს იაპონელები „თეთრ შამანს“ უწოდებენ.

ტრუსიემ იაპონიის ნაკრებში მუშაობა დაიწყო მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში სრული კრახის შემდეგ. დასაწყისში მას რაიმე, თუნდაც მცირე წარმატება არა ჰქონია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნაკრებს 1999 წელს ერთი მატჩიც არ მოუგია, მას შემდეგ კი, რაც 2000 წლის აპრილში კორეელებთანაც დამარცხდა, პრესაში დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფილიპ ტრუსიეს იაპონიაში დიდი დღე აღარ ეწერა. ტრუსიე იხსნა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელმა, მაგრამ მაინც უდავო მიღწევამ. მაროკოში გამართულ საერთაშორის ტურნირში იაპონელებმა ფრედ — 2-2 დაამთავრეს შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონებთან, ფრანგებთან! ეს, შესაძლოა, უფრო ზღაპარს ჰგავდა.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ იაპონიის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა მოთმინების უნარი გამოიჩინეს, — განაცხადა ტრუსიემ, — ჩემი ამოცანაა გუნდის მომზადება მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისთვის. ამიტომ თავიდანვე დავიწყე ნაკრების გაახალგაზრდავება. ცხადია, სანამ ახალგაზრდა მოთამაშეები ჩემს მოთხოვნებს გაიაზრებდნენ და შეეჩვეოდნენ, მარცხს განვიცდიდით. ახლა კი, ვფიქრობ, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ იაპონიის ნაკრებს უზარმაზარი პოტენციალი აქვს.

თქმა არ უნდა, იაპონიის ნაკრების ახლანდელი ფეხბურთელები თავიანთ წინამორბედებთან შედარებით უფრო ტექნიკურნი, ტაქტიკურად განსწავლულნი და ფიზიკურად უკეთ მომზადებულნი არიან! ტრუსიეს ნაკრებს ახლა შეუძლია არა მარტო მოუგოს ნებისმიერ მეტოქეს აზიაში, არამედ დიდი ანგარიშითაც დაამარცხოს იგი. ლიბანში იაპონელებმა 4-1 სძლიეს აზიის თასის მფლობელებს, საუდის არაბეთის ნაკრებს, სასტიკი მარცხი — 8-1 აგემეს ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ზბეკეთის ნაკრებს, მეოთხედფინალში დაამარცხეს ერაყელები — 4-1. მხოლოდ ნახევარფინალში: 3-2 ჩინელებთან და ფინალი — 1-0 ისევ საუდის არაბეთთან გადახდათ დიდი ბრძოლა. იაპონელებს აქაც ჰქონდათ უპირატესობა, ოღონდ ისეთი დიდი არა, როგორც წინა მატჩებში.

ავყია ხალხს რა გამოლევსო, იტყვიან. ასე, წარმატებების მიუხედავად, იაპონიაშიც არ გამოილია ტრუსიეს კრიტიკოსები. ვნახოთ, რა საბუთები აქვთ „თეთრი შამანის“ მოწინააღმდეგეებს. ისინი თვლიან, რომ ძალიან საეჭვოა სამი მცველით თამაში და თანაც ერთ ხაზზე განლაგებულების. ლიბანში იაპონელები მეტოქეებს თრგუნავდნენ მძლავრი შუა ხაზის წყალობით. კრიტიკოსები კითხვას სვამენ, განა ეს შესაძლებელი იქნება, როცა იაპონელები უფრო სერიოზულ მეტოქეებს დაუპირისპირდებიან, ვიდრე აზიის თასის მონაწილეები იყვნენ? ამაზე ტრუსიე პასუხობს, რომ იმ ტაქტიკის გარდა, რომელიც მისმა ნაკრებმა ლიბანში გამოიყენა, მას სხვაგვარადაც შეუძლია თამაში. „აზიის თასის ფინალში ჩვენ დისკვალიფიკაციის გამო დავკარგეთ წამყვანი ნახევარმცველი იუნიჩი ინამოტო და ამიტომაც ფრთხილად ვითამაშეთ. თავდასხმაშიც ადრინდელი გაბედულებით არ ვმოქმედებით, სამაგიეროდ, საუდის არაბეთის ნაკრებს ჩვენთვის გოლის გატანის რაიმე შესაძლებლობა არ მივეცით“.

რა თქმა უნდა, აზიის თასი მსოფლიოს ჩემპიონატი არ არის, მაგრამ მისმა მოგებამ ახალგაზრდა იაპონელებს რწმენა შემატა. თვით ტრუსიესაც ხელს ახლა ვერავინ ახლებს. მან იაპონიის ფეხბურთის ფედერაციას მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადების გეგმა წარუდგინა. იგი მოითხოვს მსოფლიო ჩემპიონატის წინ 40-დღიანი შეკრების მოწყობას. ეს კი ნიშნავს, რომ ჯეი-ლიგის მომავალი ჩემპიონატი მარტის ნაცვლად იანვარში დაიწყება. ტრუსიეს გეგმით, 2001 წელს ნაკრების მოთამაშეები ერთად, როგორც მინიმუმი 90 დღეს მაინც უნდა იყვნენ, 13-14 მატჩი უნდა ჩაატარონ.

ტრუსიე ამბობს, რომ მისი გეგმები მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გასვლას ითვალისწინებს...

მოამზადა ბ.ივი თორელმა

ზიდანი: „ჩემს დიდ მიზანს ამჯერად ვერ მივაღწიე“

● „იუვენტუსმა“ ამ სეზონში წინასწარი ეტაპიდან დატოვა ჩემპიონთა ლიგა. შეიძლება კი ოდესმე შეისრულოთ ეს ოცნება და გაიმარჯვოთ ამ მთავარ ევროპულ საკლუბო ტურნირში?

— ჰკითხა ეურნალისტმა ზინედინ ზიდანს.

— მართლაც დავისახე ეს დიდი მიზანი — მომეგო ჩემს გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგა, რომლის შესაძლებლობა აქამდე არასოდეს მქონია. მაგრამ, ეტყობა, შევცდი, როცა ხმამაღლა განვაცხადე, რომ ამის გაკეთება მაინცდამაინც ამ გათამაშებაში მინდოდა. არაფერი გამოვიდა და ახლა გვიანლაა სინანული. შემდეგში უფრო

ჭკვიანურად მოვიქცევი და ცხოვრებისაგან ძალიან ბევრს უკვე აღარ მოვითხოვ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს გეგმებზე ასე ხმამაღლა აღარ ვილაპარაკებ.

● კვლავაც არის თუ არა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება თქვენი უველაზე მაღალი სპორტული მიზანი?

— დიახ, ეს ძალიან მაღალი მიზანია, მაგრამ 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდების დაცვას ასევე მაღალ მიზნად ვთვლი, თუკი ამას მოვახერხებთ, ამით ხაზი გაესმება ფრანგული ფეხბურთის უდიდეს როლს და მის წამყვან მდგომარეობას ფეხბურთის ისტორიაში.

● ლოთარ მათეუსი თვლის, რომ თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მეტად ბევრ ტურნირში ითამაშა, იმაზე მეტში, ვიდრე საჭირო იყო. ხომ არ შეიძლება თქვენც იგივე მოგივდეთ?

— არ ვიცი, მართლაც ითამაშა თუ არა მათეუსმა ზომაზე მეტად. ყოველ შემთხვევაში, მაშინ დავამთავრებ, როცა ამას საჭიროდ მივიჩნევ.

● მაინც, როდის?

— აი, სწორედ ამაზე ვფიქრობ ახლა. ვიცი, რომ ახლოს ვარ კარიერის დასასრულთან, მაგრამ ფიქრი ჯერაც არ დამიმთავრებია.

● ითამაშებთ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატში გერმანიაში?

— შესაძლოა, თუკი ჩემი გამოსვლები 2004 წელს არ დავასრულე, მაშინ 2006 წლამდე განვაგრძობ თამაშს.

● რას გააკეთებთ ფეხბურთის კარიერის დამთავრების შემდეგ?

— ამაზე ახლაც ვფიქრობ, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ბუნდოვანია: შესაძლებელია ფეხბურთში განვაგრძო საქმიანობა, შეიძლება სხვა რამეს მოვკიდო ხელი.

● რატომ ითამაშა გერმანიის ნაკრებმა ასე სუსტად ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში?

— გულახდილად გეტყვით, მიჭირს ამის ახსნა, ამასთან, არც გერმანელებს სჭირდებათ ჩემგან რაიმე რჩევა. ისინი, დიახაც საკმაოდ სუსტად თამაშობდნენ, მაგრამ გერმანელები ძალიან ანგარიშგასაწევი არიან ყველა შემთხვევაში და ყველა ტურნირში.

● უკვე 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში?

— დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ.

● რას ისურვებდით წლევანდელ სეზონში?

— არ ვიქნებოდი თავმდაბალი, საკუთარი თავისთვის კიდევ რაიმე რომ მესურვა. ცხოვრებამ ისედაც ბევრი რამით დამაჯილდოვა.

ფეხბურთი შეიცვალა, სამწუხაროდ, უარესობისაკენ

პიეტრო ვერხოვოდმა რამდენიმე შეკითხვაზე უპასუხა იტალიურ გაზეთ „კორიერე დელა სერას“ კორესპონდენტს.
ვერხოვოდმა თავისი უკანასკნელი მატჩი იტალიის „სერია A“-ში 2000 წლის 16 აპრილს ჩაატარა, როცა 40 წლისა და 10 დღისა იყო. ამ მაჩვენებლით უკან ჩამოიტოვა სილვიო პიოლა და მხოლოდ დინო ძოფს თუ ჩამორჩება. სულ „სერია A“-ში 562 მატჩი ითამაშა. ორჯერ იყო იტალიის ჩემპიონი (1983 წელს „რომასა“ და 1991 წელს გენუის „სამპდორიაში“). ოთხჯერ დაეუფლა იტალიის თასს, ერთხელ (1990 წ) — თასების თასს. იტალიის ნაკრებში 1981-1993 წლებში გამართა 45 მატჩი, 1982, 1986 და 1990 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებში იყო იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, თუმცა, 1982 წელს მხოლოდ სათადარიგოთა სკამით დაკმაყოფილდა.

● როგორ გრძნობთ თავს, მას შემდეგ, რაც „სერია A“-ში ოცწლიანი თამაშის შემდეგ ფეხბურთს გამოეთხოვეთ?

— ამის შემდეგ სულ რამდენიმე დღე გავიდა და ჯერჯერობით უბურთობას არა ვგრძნობ, მით უმეტეს, რომ განვაგრძობ ვარჯიშს და მეგობრებთან ერთად კვირაში ორ მატჩს მაინც ვთამაშობ.

● როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ დაიწყოთ მწვრთნელის საქმიანობა?

— შემიძლია. კარგად ვიცნობ ფეხბურთის სამყაროს და დიდი გამოცდილებაც მაქვს.

● ვის თვლით საუკეთესოდ იმ მწვრთნელთაგან, რომლებთანაც მოგიხდათ მუშაობა?

— პროფესიული თვალსაზრისით ლიპისა და საკის. დიდი ხელოვნება ჰქონდა ბოშკოვს, რომელიც, საერთოდ, გასაოცარი პიროვნება იყო, საღი გონების განსახიერება. შეეძლო, როგორც არავის, ემართა კოლექტივი, მშვენიერი ურთიერთობა ჰქონოდა ორ ათეულ ფეხბურთელთან. იგი ჰქმნიდა ილუზიას, რომ თითქოს „სამპდორიას“ შემადგენლობას ვიაღი და მანჩინი ადგენდნენ. სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, საქმე ასე არ იყო, ყველაფერს თვით ბოშკოვი წყვეტდა.

● „სერია A“-ს შვიდ სხვადასხვა კლუბში თამაშობდით. რომელი იყო მაშინ ყველაზე ძლიერი?

— „რომა“, რომელმაც 1983 წელს ჩემპიონობა მოიპოვა. მაშინ იქ თამაშობდნენ ფალკაო და ბრუნო კონტი, პრუცო და ანჩელოტი, პროხაზკა და სხვები. ეს იყო გასაოცარი გუნდი, რომელიც სათამაშო დროის 80 წუთის განმავლობაში ბურთს ფლობდა. მახსოვს, როცა „რომა“ მეტოქის ნახევარზე გადავიდოდა, მწვრთნელი ნილს ლიდჰოლმი მხოლოდ მე არ მაძლევდა მინდვრის შუაგულზე გადასვლის უფლებას.

● რომელ წარმატებას იგონებთ ყველაზე დიდი სიამოვნებით?

— 1996 წელს ევროპის ჩემპიონების თასის მოპოვებას ტურინის „იუვენტუსის“ შემადგენლობაში. უკვე 37 წლისა ვიყავი და პირველად მოვიპოვე ესოდენ დიდი წარმატება. მართალია, იგივე შეგვეძლო „სამპდორიაშიც“, მაგრამ არ გამოგვივიდა.

● შეიძლება ითქვას, სამი თაობის თავდამსხმელების წინააღმდეგ მოგიხდათ თამაში. ვისთან უფრო ძნელი იყო ბრძოლა?

— ვან ბასტენის წინააღმდეგ, რომელიც მშვენივრად თამაშობდა ორივე ფეხით და თავით. მას ყველაზე უფრო სრულყოფილი საფეხბურთო ტალანტი ჰქონდა. რონალდო თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილებებით მაოცებდა, ფიოლერსა და კარეკას კი დიდი სისწრაფე ჰქონდათ.



● ოცი წლის განმავლობაში თქვენ ნაკრებში 45-ჯერ ითამაშეთ. ეს, ეტყობა, უფრო ცოტაა, როგორც თქვენი თამაშით იმსახურებდით.

— დიახ, ასეა. როცა ეროვნულ ნაკრებს ვიჩინი ჩაუდგა სათავეში, მან მის შემადგენლობაში ახალგაზრდული გუნდის ყველა მოთამაშე მიიწვია, ისე რომ, მე აქ 1990 წლამდე არ ვთამაშობდი.

● არის თუ არა ახლა იტალიურ ფეხბურთში ახალი ვერხოვოდი?

— ასეთს ვერ ვხედავ. ნესტა ძალზე ძლიერი და საიმედო მცველია, მაგრამ მე მეტად ვმონაწილეობდი შეტევაში. ამას ჩემი 38 გოლიც მაჩვენებს. ასევე, ადასტურებს, რაც მცველისათვის ცოტა როდია. შესაძლოა, უფრო კანავარო მგავს. ამასთან ერთად, ნესტასა და კანავაროს გარდა ახლა ვერ ვხედავ ძლიერ ფეხბურთელებს. მხოლოდ მცველებს როდი ვგულისხმობ.

● როგორ შეიცვალა ფეხბურთი ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში?

— იგი ძალიან შეიცვალა, მაგრამ, საწუხაროდ, მხოლოდ უარესობისაკენ. დღეს ნაკლებად ავლენენ სათამაშო ფანტაზიას, ძირითადად ფიზიკურ ძალას ეყრდნობიან. რთული ტექნიკური ილეთები დიდი იშვიათობა გახდა. ის, რომ თამაში ძირითადად პატარა უბნებზე მიმდინარეობს, ფეხბურთს სანახაობითობას უკარგავს. შეიძლება თანამედროვე ფეხბურთში, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, გაიზარდა სისწრაფე, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ 20 წლის წინათ ბურთი გაცილებით უფრო სწრაფად ფრინავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული პლანეტა

NBA

პლეი-ოფამდე სამი კვირა რჩება



მაიამი — სან ანტონიო. მაიამელი ედი ჰაუზი ცდილობს გაცდეს დერეკ ანდერსონს.

გუშინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში 7 მატჩი გაიმართა, რამაც გარკვეული სიცხადე შეიტანა გუნდების სატურნირო მდგომარეობაში: მილუოკი - ატლანტა 105:91, საკრამენტო - ლეიკერსი 72:84, მაიამი - სან-ანტონიო 88:83, ორლანდო - ინდიანა 84:82, ტორონტო - ვანკუვერი 102:92.

პლეი-ოფამდე სამი კვირით ადრე სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

აღმოსავლეთის კონფერენცია

	თ.	მ.	%
ფილადელფია	48	21	69,6
მილუოკი	44	25	63,8
მაიამი	42	27	60,9
ნიუ-იორკი	41	27	60,3
შარლოტი	40	30	57,1
ტორონტო	38	32	54,3
ორლანდო	38	32	54,3
ინდიანა	31	38	44,9
ბოსტონი	31	38	44,9
კლივლენდი	26	43	37,7
დეტროიტი	25	45	35,7
ნიუ-ჯერსი	24	49	32,9
ატლანტა	21	50	29,6
ვაშინგტონი	17	53	24,3
ჩიკაგო	12	57	17,4

დასავლეთის კონფერენცია

სან-ანტონიო	49	21	70,0
იუტა	47	21	69,1
საკრამენტო	46	22	67,6
ლეიკერსი	47	23	67,1
პორტლენდი	45	24	65,2
დალასი	44	25	63,8
ფინიქსი	41	27	60,3
მინესოტა	42	28	60,0
ჰიუსტონი	38	32	54,3
სიეტლი	38	34	52,8
დენვერი	33	37	47,1
კლიპერსი	25	45	35,7
ვანკუვერი	20	52	27,8
გოლდენ სტ.	17	52	24,6

ფიგურული ციგურაობა

როცა არტისტიზმი უფრო ფასობს

გასულ უქმეებზე რუსეთელ ირინა სლუცკაიასთან დაძაბულ პაექრობაში ამერიკელმა ქალმა მიშელ კვანმა (სურათზე) მოიპოვა ოქროს მედალი ვანკუვერში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. მეტოქეების გამოსვლა პრაქტიკულად თანაბარი გამოდგა. სლუცკაიას პროგრამა ტექნიკურად უფრო რთული იყო, ამერიკელი კი გაცილებით არტისტულად გამოიყურებოდა. ცხრიდან შვიდმა არბიტრმა უპირატესობა კვანს მიანიჭა. მესამე ადგილზე გავიდა ამერიკული სარა ჰიუზი.

ჯრივი

„ოქროს ბიჭის" მორიგი წარმატება

ამერიკელმა პროფესიონალმა მოკრივემ ოსკარ დე ლა ჰოიმ კანადელი არტურ გატი გალახა ლას-ვეგასში გამართულ ორთაბრძოლაში. უკვე პირველ რაუნდში „ოქროს ბიჭმა" გატი ნოკდაუნში გაგზავნა, შემდგომში კი კანადელი მოკრივის სახე გამოწურულ ჭარხალს დაემსგავსა.

ბრძოლის მეხუთე რაუნდში კანადელის გალახვამ ისეთი აშკარა ხასიათი მიიღო, რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. ოსკარ დე ლა ჰოიას ჰონორარმა 5 მილიონი დოლარი შეადგინა, გატის კი სისხლის დაღვრაში 1,4 მილიონი გადაეცა.

სურათზე: დე ლა ჰოიას და გატის (მარჯვნივ) ბრძოლის მომენტი.

დაბადების დღის საჩუქარი თვითონ მოიპოვა

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ ვლადიმირ კლიჩკომ თავის დაბადების დღეზე მშვენიერი საჩუქარი გაიკეთა — მან WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიცვა. კლიჩკოს მეტოქემ, ამერიკელმა დერიკ ჯეფერსონმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა, უკრაინელი კი გამწვავებაზე არ მიდიოდა. მაყურებელს ეგონა მატჩი დიდხანს გასტანდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა: როცა ჯეფერსონმა მორიგი შეტევა წამოიწყო, კლიჩკო უძლიერესი მარცხენა გვერდული დარტყმით დაუხვდა. დერიკი დაბარბაცდა და იატაკზე გაიშხლართა. ნოკდაუნისგან იგი გონგმა იხსნა. ამის შემდეგ, უპირატესობას უკრაინელი დაეუფლა და ზედიზედ ორჯერ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში. რეფერიმ ბრძოლა შეაჩერა.

იტყობინებიან, რომ კლიჩკოს მომავალი ჩხუბი, ალბათ, თავად ლენოქს ლუისთან მოუწევს.



სუმო

სურათზე: იოკოძუნა (სუმოში უმაღლესი ტიტული) ტაკანოხანა ამჯერად მხოლოდ მეორე იყო.

გუშინ იაპონიის ქალაქ ,ოსაკაში დასრულდა მარტის ბასე — უძლიერეს პროფესიონალ სუმისტთა ექვსიდან მეორე ტურნირი.

საფინალო, მეთხუთმეტე დღისთვის ერთნაირი შედეგი (12-12 მოგება, ორ-ორი წაგება) სამ სუმისტს ჰქონდა — ტაკანოხანას, კაიოს და მუსოიამას. გადამწყვეტ ბრძოლაში მათგან მხოლოდ კაიომ იმარჯვა. იგი 28 წლისაა, სიმაღლე — 1895 სმ, წონა — 174 კგ.

ჩოგბურთი

დინარა საფინა

რომში დასრულდა „ჩელენჯერის" წარმომადგენლობითი ტურნირი, ქალ ჩოგბურთელთა შორის, რომელიც მარატ საფინის დამ — 14 წლის დინარამ (სურათზე) მოიგო. ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იყო.

ველოსპორტი

კასაგრანდე და მილეორდი რჩეულებია

ველომრბოლთა საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენების სია. ვაუებში პირველი პოზიცია შეინარჩუნა იტალიელმა ფრანჩესკო კასაგრანდემ, რაც შეეხება ქალებს, ლიტველმა დიანა ჟილიუტემ პირველი ადგილი დაუთმო ავსტრალიელ ანა მილეორდს.

ედომ პირველი ეტაპი მოიგო

გუშინ, დაიწყო 799-კილომეტრიანი ტრადიციული, 38-ე ველორბოლა ესპანეთის გზებზე, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდება. პირველ ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა ესპანელმა ანხელ ედომ.

სურათზე: ედო გამარჯვებას ზეიმობს.

კასპაროვის ბრიგი ბრიუეში

კვირას კანში (საფრანგეთი) დამთავრდა მსოფლიო თასის პირველი გათამაშება სწრაფ ჭადრაკში, 16 დიდოსტატის მონაწილეობით. ისინი დასაწყისში ორ ჯგუფად დაჰყვეს, სადაც შეჯიბრება წრიული სისტემით მიმდინარეობდა. 4-4 გამარჯვებული შემდეგ მეოთხედფინალში გადიოდა და ნოკაუტ-სისტემით აგრძელებდა ბრძოლას.

ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე ექსპერტებმა მთავარ ფავორიტად გარი კასპაროვი მიიჩნიეს, რაც სავსებით გამართლდა კიდეც. ნახევარფინალში მან სძლია 17 წლის ალექსანდრ გრიშჩუკს, რომელიც ჭადრაკის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ევგენი ბარეევი და იუდით პოლგარი. ეს მატჩი მოჭადრაკე ქალის დამარცხებით დამთავრდა. ფინალში კასპაროვი და ბარეევი იბრძოდნენ. პირველი პარტია ყაიმით დასრულდა, მეორე კი კასპაროვმა მოიგო და დაეუფლა მსოფლიო თასს სწრაფ ჭადრაკში.

XVI კატეგორიის ტურნირი დოს-ერმანაში

კარგა ხანია აღარ უთამაშია დიდ წრიულ ტურნირში ჩვენს უძლიერეს დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილს, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მუდმივ ლიდერს. სწორედ ასეთი, ფიდეს XVI კატეგორიის ტურნირი გაიმართება 19 აპრილიდან დოს-ერმანასში (ესპანეთი) 10 დიდოსტატის მონაწილეობით. იქ ზურაბ აზმაიფარაშვილის მეტოქეები იქნებიან მიხაილ გურევიჩი (ბელგია), ილია სმირინი (ისრაელი), ალექსეი დრეევი (რუსეთი), ივან სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცოგოვინა), მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი), ზოლტან ალმაში (უნგრეთი), მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ფრანსისკო ვალეიხი (ესპანეთი) და თემურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი).

ერთდროული თამაშის სეანსი... 1102 დაფაზე

გასაოცარი ცნობა მოვიდა საბერძნეთიდან. იქ, ქ. კალავრიტაში გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი, რომელიც 29 წელიწადს გრძელდებოდა. ახალგაზრდა ბერძენმა დიდოსტატმა ქალმა ანა-მარია ბოცარომ, რომელიც შარშანწინ თბილისში მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში თამაშობდა, გადაწყვიტა მოეხსნა მსოფლიო რეკორდი ერთდროული თამაშის სეანსში. თუ მანამდე ეს რეკორდი ჩინელ დიდოსტატ ე. ჯან-ჩუანს ეკუთვნოდა, რომელმაც 1004 მეტოქის წინააღმდეგ ითამაშა, ანა-მარიამ ორგანიზატორებს ნება დართო დაფების რაოდენობა 1102-მდე გაეზარდათ და გაუძლო კიდეც ამ უზარმაზარ დატვირთვას, რის გამოც ცხადია, მას ადგილსაც დაუთმობენ გინესის წიგნის ახალ გამოცემაში.

პროფესიული კრივის სამყაროში

ბელეარხებს ყველაფერი ძალუძთ...

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, მსოფლიოში ორი პოპულარული მძიმეწონოსანი მოკრივის ამერიკელ მაიკ ტაისონისა და ბრიტანელ ლენოქს ლიუისის ბრძოლა, რომელსაც დიდი ინტერესით ელიან კრივის



მოყვარულები, სავარაუდოდ ივლისში უნდა შემდგარიყო. მაგრამ საქმეში ჩაერია ტელევიზია, კერძოდ, HBO და Schowtime- ტელეარხები, რომლებთანაც ორივე მოკრივეს კონტრაქტები აქვს დადებული. მაგრამ ეს ტელეარხები არ ჩქარობენ ერთმანეთში მოლაპარაკებას და თუ საერთოდ ვერ შეთანხმდნენ, არავითარი ბრძოლა არ ჩატარდება.

მაშინ ტაისონს ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრის იმედი ექნებოდა, შეეძლო საკმაოდ ხელი მოეთბო ფინანსური თვალსაზრისით. ამ ორთაბრძოლის მოწყობა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ასეთი მატჩისადმი ინტერესი უკვე ისეთი აღარ იქნება, ვინაიდან ჰოლიფილდი ამას წინათ დამარცხდა ჯონ რუისთან. ტაისონი რუისთან ბრძოლაზეც არ იტყოდა უარს, მას ხომ რაღაც ტიტულის მოპოვება სჭირდება შერყული პოზიციის გასამაგრებლად, რაც ლიუისთან მის მატჩს დააჩქარებს. მაგრამ, როგორც ითქვა, ამ მატჩის გამართვა დღეს უკვე ახანებს არხებს შორის კონკურენცია, ჯერ კიდევ რომ ვერ მოლაპარაკებულან ერთმანეთში.

დასასრულ, ჰოლიფილდის დამარცხება არავითარ გავლენას არ მოახდენს ლიუისის ღირსებებზე. იგი როგორც იყო „აღიარებული მძიმე წონაში აბსოლუტურ მსოფლიო ჩემპიონად“, ასეთივე რჩება. თუმცა ლიუისი ამერიკაში ძალიან არ უყვართ. მაიკ ტაისონი მისი ერთადერთი მეტოქეა, ბრძოლაში, რომელსაც ლენოქსი ელის.

80 წლის სმისლოვი

24 მარტს 80 წელი შეუსრულდა მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონ ვასილი სმისლოვს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XX საუკუნის ჭადრაკის ისტორიაში. 1957 წელს მან მსოფლიო პირველობის მატჩი მოუგო მიხეილ ბოტვინიკს (12,5:9,5), შემდეგში არაერთგზის მონაწილეობდა პრეტენდენტთა ასპარეზობებში და მაღალი კლასი ძალიან დიდხანს შეინარჩუნა. საინტერესოა, რომ 63 წლისა წარმატებით გამოვიდა პრეტენდენტთა ასპარეზობაში და ფინალამდეც კი მივიდა, სადაც დათმო მატჩი მომავალ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან.

საინტერესოა, რომ სმისლოვი ასეთი ასაკის მიუხედავად, დღემდე განაგრძობს მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირებში.

იგი რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორია. ძლიერი ხმის (ბარიტონი) მქონე ვასილი სმისლოვი მონაწილეობდა ვოკალისტთა კონკურსში, რომელიც მოსკოვის დიდ თეატრში გაიმართა. მან წარმატებით დაძლია ორი ტური, უნდოდათ მისი ჩარიცხვა დიდი თეატრის სოლისტად, მაგრამ წაუყენეს აუცილებელი პირობა – თავი უნდა დაენებებინა ჭადრაკისათვის. სმისლოვმა სიმღერას მაინც ჭადრაკი ამჯობინა.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ

27 მარტი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ახალგაზრდულ გუნდებს შორის: საქართველო – რუმინეთი (14.55), ***ევროკა.*** მსოფლიო სპორტი (20.00). ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე (20.00). ***EUROSPORT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ფეხბურთი: მსოფლიო 2002-ის ჩემპიონატის გზები (12.30). ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (22.00), ***HTB პლუს ფუთბალი.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.15, 17.30), ჩემპიონთა ლიგა: „სპარტაკი“ – „ბავარია“ (15.45), „ლაციო“ – „ლიდსი“ (23.00).

28 მარტი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – რუმინეთი (19.55), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე“ (11.15, 20.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. აშშ-ს ჩემპიონატი (13.00), კალათბურთი. ნბა (14.00, 22.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (22.30), ფეხბურთი-2001 (2.15), ***HTB პლუსფუთბალი.*** ჩემპიონთა ლიგა, „ლიონი“ – „ბავარია“ (13.15), „გალათასარაი“ – „მილანი“ (15.25), ჰოლანდიის ჩემპიონატი 17.00). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – რუმინეთი (19.55), უელსი – უკრაინა (23.25), პორტუგალია – ჰოლანდია (1.50).

29 მარტი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (19.00). ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (20.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. იტალია – ლიტვა (09.30, 16.30), აშშ-ს ჩემპიონატი (17.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: მსოფლიო 2002-ის ჩემპიონატის გზები (13.00, 16.30,22.00). ჩემპიონთა ლიგა (2.15). ***HTB პლუსფუთბალი.*** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. საქართველო – რუმინეთი (14.00), უელსი – უკრაინა (15.40), პორტუგალია – ჰოლანდია (19.20), ჩემპიონთა ლიგა. „რეალი“ – „ლიდსი“ (17.20), „მილანი“ – „დეპორტივო“ (23.05).

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ №24



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ახლო წარსულში ინგლისის ნაკრების ფერადკანიანი ფორვარდი, 9. საქართველოს მეტოქე მ.ჩ. შესარჩევ ჯგუფში, 10. იტალიელი თავდამსხმელი, 11. იტალიელი ნახევარმცველი, 12. ლიტველი მსაჯი, რომელიც მოემსახურა საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, 14. სარბიელი, 17. შვეიცარიელი ფორვარდი, 20. აფრიკელი პელეს სახელი, 21. ქართველი მეკარე, 22. ნორვეგიის კლუბი, 23. ფიფას საკონტინენტო ფედერაცია, 26. ესპანეთის კლუბი, 27. კამერუნელი მეკარე, 29. ჩეხი მცველი, 30. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 33. კლუბების გაერთიანება, 34. „ბარსელონას“ მცველი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ჩილეში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი ქალაქი, 2. საქართველოს და შვეიცარიის კლუბები, 3. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონის ფეხბურთელი, მცველი, 4. იტალიელი მეკარე, 5. ფეხბურთის მოყვარული ნბა-ს ვარსკვლავი, 7. სპორტსმენთა ძალები სარეაბილიტაციო ადგილი, 8. ბერძენი ეროვნების თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ნახევარმცველი, 12. პორტუგალიის კლუბი, 13. ბელგიის კლუბი, 15. ჰოლანდიელი მცველი, 16. ქართველი მცველი, 18. საბერძნეთის კლუბი, 19. „მილანის“ ქართველი ლეგიონერი, 24. გერმანელი მეკარე, 25. ალბანელი ფეხბურთელი, 26. ესპანეთის კლუბი, 28. ჰოლანდიის მეორე ლიგის კლუბი, 29. ბრაზილიელი ნახევარმცველი, 31. „მილანის“ ფრანგი ლეგიონერი, 32. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი.

№23 ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 7. ასათიანი, 8. ჟორდანია, 10. საუნა, 11. სკალა, 12. „სკავოლინი“, 15. უზანგი, 18. „რიბოკი“, 19. კორნერი, 20. „უდინეზე“. 22. ჟარდელი, 25. "ემპოლი“, 26. ილიადი. **ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. „ასპარეზი“, 2. ათენი, 3. ანელკა, 4. ბოლონი, 5. „ნაიკი“, 6. ჩისლენკო, 9. სიომინი, 13. აგასი, 14. ფიორე, 16. ბორზოვი, 17. ურსაისი, 20. ულიე, 21. ნეტო, 23. დანი, 24. ინსი.

ᲚᲝᲢᲝ ᲚᲝᲢᲝ №11

ᲒᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ 24-25.03.2001

ᲚᲝᲢᲝ 6-42 — 3 5 10 12 20 34

6 რიცხვი	0 x	4990.70 ლარი		გადავიდა შემდეგ ტირაჟში
5 რიცხვი	0 x	100.70 ლარი		გადავიდა შემდეგ ტირაჟში
4 რიცხვი	4 x	33.50 ლარი		
3 რიცხვი	163 x	1.40 ლარი		

ᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ 7 — 2 0 4 3 0 5 5

2043055 ---	50,000 ლარი	055 ---	50 ლარი
043055 ---	15,000 ლარი	55 ---	3 ლარი
43055 ---	5,000 ლარი	5 ---	0.50 ლარი
3055 ---	500 ლარი		

ᲯᲘᲠᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ 12 ᲛᲐᲢᲩᲘ — 2X2 222 XX2 X12

12 შედეგი	0 x	17042.30 ლარი	გადავიდა შემდეგ ტირაჟში
11 შედეგი	0 x	1548.10 ლარი	გადავიდა შემდეგ ტირაჟში
10 შედეგი	2 x	474.40 ლარი	

მე-12 ტირაჟის პროგრამა (31.03-1.04 2001)

1. იტა.	არსენალი	– ტოტენჰემი	60-30-10
2. იტა.	სანდერლენდი	– ლიდსი	40-30-30
3. იტა.	ბრადფორდი	– ნიუკასლი	20-30-50
4. იტა.	პიჩენცა	– ფიორენტინა	20-40-40
5. იტა.	რომინა	– უდინეზე	20-40-40
6. იტა.	პერუჯა	– ინტერი	40-30-30
7. გერ.	ბაიერნი	– მერდერი	50-30-20
8. გერ.	კაიზერი	– დორტმუნდი	30-40-30
9. გერ.	ბოხუმი	– კოლონია	40-30-30
10. ესპ.	დეპორტივო	– ვალიადოლიდი	60-20-20
11. ესპ.	მალაგა	– სელტა	40-40-20
12. ესპ.	რასინგი	– სარაგოსა	30-40-30

ᲯᲘᲠᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ 11 ᲛᲐᲢᲩᲘ — 1 12 X22 XXX 1X

11 შედეგი	0 x	218.60 ლარი	გადავიდა შემდეგ ტირაჟში
10 შედეგი	0 x	63.00 ლარი	გადავიდა შემდეგ ტირაჟში
9 შედეგი	2 x	31.50 ლარი	

მე-12 ტირაჟის პროგრამა (31.03-1.04 2001)

1. გერ. I	ბაიერნი	– მერდერი	50-30-20
2. გერ. I	ლევერკუზენი	– შალკე	40-30-30
3. გერ. I	კერტა	– მიუნხენ 1860	40-30-30
4. გერ. I	შტუტგარტი	– კიოლნი	40-40-20
5. გერ. I	ჰამბურგი	– უნტერჰაჩინგი	50-30-20
6. გერ. I	ფრაიბურგი	– აინტრახტი	50-30-20
7. გერ. I	კაიზერი	– დორტმუნდი	30-40-30
8. გერ. I	ბოხუმი	– კოლონია	40-30-30
9. გერ. II	ჰანოვერი	– ობერჰაუზენი	50-30-20
10. გერ. II	არმინია	– როიტლინგენი	30-40-30
11. გერ. II	ულმი	– გაინგი	40-40-20

ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲝᲢᲝ №11 ᲒᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ 25.03.2001

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ᲡᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ	18	5	20	2	14	11	12	17	23	22
	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ	15	3	9	21	13	4	8	1	16	10
ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ		10,000 ᲚᲐᲠᲘ	1,000 ᲚᲐᲠᲘ	100 ᲚᲐᲠᲘ	50 ᲚᲐᲠᲘ	10 ᲚᲐᲠᲘ	5 ᲚᲐᲠᲘ	2 ᲚᲐᲠᲘ	1 ᲚᲐᲠᲘ	2 ᲙᲝᲞᲔᲙᲘ
ᲓᲐᲣᲗᲘᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ	6	7	19	24						

ᲛᲝᲣᲒᲔᲑᲔᲚᲘ "ᲒᲘᲚᲘᲗᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ 3 ᲐᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲣᲨ-ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲨᲘ:

ᲚᲐᲨᲐ ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲩᲘᲐᲠᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲒᲐᲗᲣᲨᲘ)

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

Ა. ᲒᲐᲚᲘᲪᲙᲘ



ᲨᲐᲛᲐᲗᲘ 2 ᲡᲕᲚᲐᲨᲘ

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლh4! 1. ...მფe3 2. ლg3X.
1. ...მფf3 2. ლf2X. 1. ...მფf5 2. ლf6X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 I ᲔᲮ. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი ᲗᲣᲠᲐᲛ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №3 (11) მარტი, 2001 წელი

ჰიტოში კასუია

ერთადერთი ადამიანი, რომელიც შვიდჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი კატაში და კუმიტეში. რეზულტატი, რომელიც დღემდე არავის გაუმეორებია, ადამიანი, რომელიც ფლობს იაპონური ორთაბრძოლების უმაღლეს წოდებას - «შიხანს«. ადამიანმა, რომელმაც მიიღო მსოფლიოში კარატეს ახალი ტალღის ლიდერის აღიარება. შავი ქამრის, მე-8 ანის მფლობელი. ჰიტოში კასუია. სამურაების ძველი გვარის წარმომადგენელი, მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეუძლია შეაფასოს ერის ჭაშმარიტი, მებრძოლი სული.

ამ ქვეყნად მოვლინებით ადამიანს სულიერად დახვეწის საშუალება ეძლევა. ადამიანმა, პირველ რიგში სულიერებაზე უნდა იზრუნოს, განიწმინდოს და მეორე პლანზე გადაიტანოს მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქრი.

კახა ბასილია

საერთაშორისო სემინარი კარატე-დოში

1-3 აპრილი 2001

მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორის, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, მე-8 დანის მფლობელის, ჰიტოში კასუიას ხელმძღვანელობით

დებულება

ორგანიზატორები:
- საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია.
- საქართველოს მოქალაქეთა კავშირი.

1. სემინარში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები
1.1. სემინარში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ყველა წევრი (მოსწავლე, ინსტრუქტორი).
1.2. სემინარში მონაწილეობა ფასიანია.

2. დრო და ადგილი
2.1. სემინარის ჩატარების დრო:
ა) 1 აპრილი (კვირა დღე) 10.00-13.00 სთ.
ბ) 2 აპრილი (ორშაბათი დღე) 11.00-14.00 სთ.
გ) 3 აპრილი (სამშაბათი დღე) 11.00-14.00 სთ.
გამოცდები 17. 00 სთ.
2.2. სემინარი ჩატარდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2; (არმიის სპორტული კლუბის შენობა).

პირველ აპრილს სემინარის შემდეგ გაიმართება კლუბ „მაკაბის" ღია ტურნირი

მასატოში ნაკაიამა - მთავარი ოსტატი და სტრატეგი

მასატოში ნაკაიამა დაიბადა 1913 წელს, ექიმის ოჯახში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგი სიყმაწვილეში არანაირ დაინტერესებას არ იჩენდა საბრძოლო ხელოვნებისადმი. 17 წლის ასაკში ნაკაიამა ტოკიოში ჩავიდა, რათა ტაკუსოკუს უნივერსიტეტში შეესწავლა სინოლოგია, რადგან თავისი სიჭაბუკის დიდი ნაწილი ჩინეთში გაატარა. მან გადაწყვიტა, რომ თავისუფალ დროს ევარჯიშა კენდოში, მაგრამ არ იცოდა სად და რა დროს ტარდებოდა ვარჯიშები. ინფორმაციის ძებნის დროს, შემთხვევით შეიხედა.

დარბაზში, სადაც სწორედ ამ დროს ვარჯიშს ატარებდა გიჩინ ფუნაკოში. თავიდან მოვარჯიშეების უცნაური მოძრაობები მას ძალიან სასაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ დაკვირვების შემდეგ დაინტერესდა. იგი ჩამოჯდა სხვა მაყურებლებთან ერთად და დაჟინებით დაიწყო მათი გამოკითხვა. საუბარმა ერთ-ერთი მოწაფე გააღიზიანა და მან ნაკაიამას უთხრა: „იმის მაგივრად, რომ იქაქანო, ადექი და თვითონ სინჯე". მოხდა ისე, რომ ამის შემდეგ, სულ რაღაც ერთ საათში მასატოშიმ ზუსტად იცოდა: მის ცხოვრებაში ძალიან მნისვნელოვან ადგილს დაიკავებდა კარატე-დო. მას ჰქონდა ძალიან დიდი სირთულეები - მაგალითად, ყოველთვის ძალიან უჭირდა მიეღწია კარგი გაწელვისათვის (შპაგატისათვის) - ნაკაიამა ფანატიკური სიჯიუტით ვარჯიშობდა და გული არ სწყდებოდა იმაზე, რომ ვიღაცა მასზე მაღლა იდგა დახვეწილი ტექნიკით. მუდმივმა ვარჯიშებმა უდიდესი შედეგები მისცა, მან შესანიშნავ დონეს მიარწია კუმიტეში.

1949 წ. გიჩინ ფუნაკოშიმ შეამჩნია, რომ კარატეს ბევრ ჯგუფს მიდრეკილება გაუჩნდათ სპორტული შეჯიბრებისადმი და მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასისტენტს მასატოში ნაკაიამას მიანდო შესაბამისი რეგლამენტის შემუშავება. ამის შემდეგ ნაკაიამა გატაცებით შეუდგა სამწვრთნელო-საორგანიზაციო სამუშაოს და საუკეთესო შედეგებსაც მიაღწია. მისის უნივერსიტეტის გუნდი იაპონიის მრავალგზის პრიზიორი იყო. ინსტრუქტორებმა, რომლებმაც მისი სკოლა გაიარეს, უმაღლესი ტიტულები და ჯილდოები მოიპოვეს მსოფლიოს მასშტაბით და ამასთან ერთად გამოირჩეოდნენ ბრწყინვალე პედაგოგიური აღზრდით. მათ შორის მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი. ჰიტოში კასუია იყო, რომელიც მრავალჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. იმ ნაკრების შემადგენლობაში, რომელსაც ნაკაიამა ავარჯიშებდა. სხვათა შორის, ნაკაიამაც საკმაოდ დიდ ხანს მონაწილეობდა ორთაბრძოლებში. ის უკვე 52 წლის იყო, როდესაც დარტყმების სერიებით, გიაკუ-კიზამი-გიაკუ ძუკი გამარჯვებით დაამთავრა თავისი უკანასკნელი, გამოსათხოვარი ორთაბრძოლა.

მასატოში ნაკაიამას კიდევ ჰქონდა სხვა გატაცება, ეს - სათხილამურო სპორტი იყო, რისთვისაც კინაღამ სიცოცხლეს გამოეთხოვა. 1917 წელს, ფიზკულტურის ჯგუფის ხელმძღვანელის სტატუსით, ტაკუსოკუს მთებში ვარჯიშებს ატარებდა სამთო მოთხილამურეების ბანაკში. როდესაც იგი უნდა დაშვებულიყო მარტო იდგა ფერდობზე, მოულოდნელად უშველებელი ზვავი ჩამოწვა... ექიმები მრავალი კვირის განმავლობაში იბრძოდნენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად. მხოლოდ რამოდენიმე თვის შემდეგ მოხდა მისი გამოჯანმერთელება. მიუხედავად იმისა, რომ ექიმები უკრძალავდნენ, ნაკაიამა ამტკიცებდა, რომ ეს ეხმარება მას დაკარგული ძალისა და ჯანმრთელობის აღდგენაში, „თუ კარატე-დომ ვერ შეძლო ჩემი სიცოცხლის გადარჩენა - ხუმრობდა ის - უკიდურეს შემთხვევაში დამიბრუნა ჯანმრთელობა".

მასატოში ნაკაიამა მე-10 დანის მფლობელი, მთავარი ოსტატი და სტრატეგი იყო შოტოკანის სტილში. მთელი მსოფლიოს კარატისტებისათვის იგი ცნობილია თავისი სახელგანთქმული პუბლიკაციებით პერიოდულ გამოცემებში „კარატეს დინამიკა" და „საუკეთესო კარატე". ჩვენ მოვუწოდებთ კარატეს ქართველ მიმდევრებს, რომ დაწვრილებით გაეცნონ ამ წიგნებს, რათა ეზიარონ ჭეშმარიტ კარატეს ხელოვნებას.

ბესიკ ხუციშვილი,
საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. მე-4 დანის მფლობელი.

საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალური სკოლა

მთავარი ინსტრუქტორი ბესო ხუციშვილი.

დაიბადა 18.02. 1960 წ. ქ. თბილისში.

კარატეში ვარჯიში დაიწყო 1978 წელს.

1982-83 წლების საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორი.

1989 წლის საბჭოთა კავშირის შოტოკან კარატე-დოს ჩემპიონატის პრიზიორი.

1995 წლის აღმოსავლეთ ევროპის თასის მფლობელი.

1996 წლის საერთაშორისო ტურნირ „კასუიას თასის" გამარჯვებული.

საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. შავი ქამრის მე-4 დანის მფლობელი (W.S.K.F.)

საქართველოს კარატე-დოს ფედერაციამ დაასახელა 2000 წლის საუკეთესო ინსტრუქტორად.

– ბატონო ბესო, როგორ მოხვდით კარატეს სამყაროში?

– კარატეში ვარჯიში სპორტსმენის პირობაზე საკმაოდ გვიან, 18 წლის ასაკში დავიწყე, რადგან ჩემს ბავშვობაში, კომუნისტური რეჟიმის დროს კარატეს შესახებ პრაქტიკულად არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა, ვიცოდი მხოლოდ ის, რომ კარატისტებს აცვიათ კიმანო, ხელებით ამტვრევენ ფიცრებს, ხოლო ჩხუბის დროს ხმამაღლა ყვირიან და ფანტასტიურად ურტყავენ ფეხებს... მაგრამ ეს პრიმიტიული ინფორმაციაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩემში საოცარი ინტერესი გაეღვიძებინა იმ დროისადმი. მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს მოგვცა საშუალება მეტნაკლებად ახლოს გავცნობოდით კარატეს. როდესაც საქართველოს კარატეს სექციები პირველმა ტალღამ გადმოუარა, ჩემდა საბედნიეროდ ამ ტალღაში მეც მოვყევი.

ისე კი, კარატეს სამყაროში ჩემი უფროსი ძმის, ნუკრი ხუციშვილის (რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის) წყალობით მოვხვდი. სწორედ მან გადამალახვინა ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ბარიერები, რაც თან ახლავს კარატეში ვარჯიშის პირველ გაკვეთილებს, ნებისმიერი დამწყებისათვის. შემდეგ უკვე მქონდა გარკვეული წარმატებები სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაზე და რაც მთავარია, ორი ათეული წლის განმავლობაში კარატემ გამაცნო და დამამეგობრა ისეთ საინტერესო პიროვნებებთან, როგორებიც არიან კახა ბასილია, თამაზ გორელაშვილი,



ომარ რევიშვილი, თემურ სამიშვილი, თემურ ჯორჯაძე და მრავალ სხვა არა მხოლოდ კარატეში ცნობილ ადამიანებთან, დღეს კარატე-დოს ჩვენს ფედერაციაში შექმნილია თანამოაზრეთა ძლიერი გუნდი, რომლის თვითოეულ წევრს საქართველოში კარატეს განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს.

– როდის და რის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალური სკოლა?

– ამ სკოლისა და ჩემი, როგორც კარატეს მასწავლებლად ჩამოყალიბებას მრავალი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. 1988 წელს გავხსენი ჩემი პირველი კარატეს სექცია, სადაც მოსწავლეების სახით მრავალი თანამოაზრე შევიძინე. ჩემი სკოლის ტრადიციების სამაყოდ შემიძლია ვთქვა, რომ 1989 წლის 9 აპრილს ღამის ტრაგიკული მოვლენების დროს მე და ჩემმა მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მივიღეთ რუსეთის სადამსჯელო ჯართან შეტაკებაში და არცთუ უშედეგოდ. ამის შემდეგ, წლების განმავლობაში მრავალ ჯგუფს ვამეცადინებდი სხვადასხვა სკოლებში, ინსტიტუტებში, ძალოვან სტრუქტურებში და ა.შ. მაგრამ ეს ვარჯიშები ზედაპირულ ხასიათს ატარებდა იმიტომ, რომ მე თვითონ არ მყავდა კომპეტენტური მასწავლებელი, რომელიც მომცემდა ინფორმაციას და სწორ გზას ამაღებინებდა სირთულეებით აღსავსე, კარატეს გზაზე. ამის შემდეგ, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა 1995 წელს, როდესაც რუსეთიდან დაბრუნდა ჩემი მეგობარი, კახა ბასილია, რომელიც იმ დროს უკვე აღმოსავლეთ ევროპის ასოციაციის პრეზიდენტი იყო და სერიოზულ ფიგურას წარმოადგენდა მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციას, რომელშიც ჩემი სკოლით გავწევრიანდი. ამას მოჰყვა სენსეი ჰიტოში კასუიას არაერთგზის ვიზიტი საქართველოში და მისი სახით, მე შევიძინე მასწავლებელი, რომლითაც ვამაყობ და რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ. მასთან სემინარებში და პირად ურთიერთობებში მიღებული ინფორმაციებით გამოისახა საქართველოს ფედერაციის საპროგრამო კურსი და, ამ კურსის სწორად განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალური სკოლა.

– რა მიღწევები აქვს თქვენს სკოლას?

– მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს თუ გამოვიყენებ, ჩემი სკოლის აღზრდილებს წლების განმავლობაში მოპოვებული აქვთ 67 ოქროს, 35 ვერცხლის და 45 ბრინჯაოს მედალი. იმ ასპარეზობების ნუსხა, სადაც ეს მედლებია მოგებული, საკმაოდ მრავალფეროვანია, აქ შედის საქართველოს ყველა რანგის შეჯიბრი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები და რაც მთავარია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები. თუმცა, იმასაც გეტყვით რომ სპორტული მიღწევები, მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ პროგრამისა და კურსისა, რომელიც ჩვენს ფედერაციას აქვს დასახული. ჩვენ გვირჩევნია, თუნდაც რამოდენიმე ათეული ღირსეული მოქალაქე და პიროვნება აღვუზარდოთ ასეთ გაჭირვებაში მყოფ ქვეყანას, ვიდრე ერთი მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც შეიძლება სულაც არ გამოირჩეოდეს დიდი ზნეობრიობით. კარატე თავისი არსით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სპორტის სახეობა, ამიტომაც არ ვმსჯელობთ სკოლის მიღწევებზე, მხოლოდ მედლების რაოდენობით, თუმცა ამის ნაკლებობასაც არ განიცდით.

– ამ წლის სამომავლო გეგმები როგორია, რა ღონისძიებები აქვს დაგეგმილი თქვენს სკოლას და ფედერაციას?

– ამჟამად მთელი ფედერაციის ყურადღება მიმართულია ევროპის ჩემპიონატისკენ, რომელიც ამა წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს თბილისში. თვითონ ის ფაქტი, რომ ასეთი რანგის შეჯიბრის მასპინძლობა საქართველოს ერგო, უკვე თავისებურ გამარჯვებას ნიშნავს, რადგან ევროპის ჩემპიონატის ჩატარების დიდი სურვილი ჰქონდათ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია. რუსეთი, ამგვარად, ქართული მებრძოლი სულის, საქართველოს კარატეს ღირსების დაცვა საკუთარ კედლებში მოგვიწევს და ეს უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენი საზოგადოების წინაშე. უკვე ჩატარდა რამდენიმე სერიოზული ჩემპიონატი და ტურნირი კარატე-დოში, საიდანაც გამოიკვეთა იმ სპორტსმენთა სია, რომლებიც რეალური კანდიდატები იქნებიან საქართველოს ნაკრებისა. ამ სიაში მრავლად არიან ჩემი სკოლის აღზრდილებიც და აქედან გამომდინარე, მთელი ჩვენი ყურადღება გადატანილი იქნება მათ სათანადო დონეზე მომზადებისათვის.

– და ბოლოს, მე მსურს მადლიერებით მოვიხსენიო ქალაქ თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ლამარა მარგველაშვილი, რომელმაც დაგვითმო თავისი სკოლის სპორტული დარბაზი და უდიდეს მხარდაჭერას გვიწევს იმ კეთილშობილურ საქმეში, რომელიც მოზარდების ფიზიკური და ზნეობრივ აღზრდას ემსახურება. სწორედ მისი დახმარებით მიიღო საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალურმა სკოლამ ისეთი სრულყოფილი სახე, როგორსაც იგი დღეს წარმოადგენს. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ თამაზ გორელაშვილს, რომელიც ცენტრალური სკოლის დაარსების პირველი დღიდან მუხლჩაუხრელ, აღმზრდელობით სამუშაოს ეწევა მოზარდებთან და რაც მთავარია, საქართველოს კარატე- დოს ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ კახა ბასილიას, სწორედ მისი წყალობით კარატემ არა მხოლოდ ჩვენს სკოლაში, არამედ მთელს საქართველოში აყვავების უმაღლეს დონეს მიაღწია.



საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალურ სკოლაში ვარჯიშები ტარდება:

სამშაბათი, ხუთშაბათი - 5 საათზე;

შაბათი - 1 საათზე.

მისამართი: ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლა. ბარნოვის №46.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

სტუდენტური სპორტი

ყურადღება!

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი".

გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.

მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.

ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი"

– გაახალგაზრდავდით!

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ